



არქეიონი
ARCHEION
XVII

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო
დაწესებულება - საარქივო სამმართველო

*Sub-department of Ministry of Education, Culture and Sport of Ajara
Autonomous Republic - Archives Administration*

ISSN 2233-3541

ა რ ხ ე ი მ ი ბ ი
A R C H E I O N
XVII

თბილისი 2018 Tbilisi

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე: მაია იგანიშვილი

რედაქტორი: თამაზ ფუტარაძე

სარედაქციო საბჭო:

თეონა იაშვილი რამაზ ბოლქვაძე, ბესიკ ბაუჩაძე, ანზორ თხილაიშვილი, ელგუჯა გოგიბერიძე, ელგუჯა ჩაგანავა, მაია რურუა, ფრიდონ ქარდავა, ნატო ქიქავა, ოთარ გოგოლიშვილი მერაბ კეზევაძე, ციური ქათამაძე, ირაკლი ბარამიძე

Maia Ivanishvili - chairman of editorial board

Tamaz Putkaradze - editor

Editorial Board:

Teona Iashvili, Ramaz Bolkvadze, Besik Bauchadze, Anzor Tkhilaishvili, Elguja Gogiberidze, Elguja Chaganava, Maia Rurua, Fridon Kardava, Nato Kikava, Otar Gogolishvili, Merab Kezevadze, Tsuri Katamadze, Irakli Baramidze

კრებულში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს სარედაქციო საბჭოს შეხედულებებს.
ავტორების სტილი დაცულია.

Any opinion expressed in the book belongs to the author and may not reflect the view of the editorial board.

Authors' style reserved

აჭარის საარქივო სამმართველო, ტელეფონი: 27 52 10

ვებ გვერდი: <http://adjara.gov.ge/branches/default.aspx?gid=2>

გამოცემლობა „ჯიბისალი”, 2018

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს საავტორო №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30

E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ქეთეგან ფუტკარაძე

**საზღვარმართის ქართველობის მიწისი და მიმდრანები
საზღვარი მაცლებარები აკადემიური ცოდნის გაცემის პრეტესტში**

აკადემიური ცოდნის გაცელის თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია უცხოეთის ქვეყნებში წარმოებული ქართველოლოგიური კვლევები. ამ საქმეში დიდი დამსახურება მიუძღვით ქართველ ემიგრანტებსაც. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში იმულებით თუ ნებით წასულ ქართველ მეცნიერები ცდილობდნენ გაეღვივებინათ საუკუნეების მანძილზე ევროპის ხალხებში არსებული ინტერესი საქართველოსადმი და ქართული ყოფა და კულტურა მოექციათ სამეცნიერო ბრუნვაში.

ამ თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ქართველოლოგიური საქმიანობის გაძლიერება და პოპულარიზაცია იტალიაში. ქართული კულტურით ევროპელთაგან პირველად პირველად იტალიელები დაინტერესდნენ. XVII საუკუნის დასაწყისიდან იტალიელი მისიონერების - სტეფანე პაოლონის, ანგონიო ჯარდინას, ფრანცისკ მარიო მაჯოს, ბერნარდო ნეაპოლელის, კრისტოფო დე კასტელის, პიეტრო დელავალეს და სხვათა საქმიანობამ ერთგვარად შეუწყო ხელი ქართველოლოგიური საკითხებით დაინტერესებას (უუკუნა ფეიქრიშვილი, ქართველოლოგის შესავალი, თბ.2015., გვ. 198). პირველი ქართული წიგნი - „ლექსიკონი ქართული და იტალიური, შედგენილი სტეფანო პაოლინის მიერ, ქართველ ნიკიფორე ირბახის, წმ. ბასილის (წესის) ბერის დახმარებით – სახმარად სარწმუნოების გამავრცელებელი სახლილიერო საზოგადოების მისიონერთა“ (ჩიქობავა ა.ვათეიშვილი., 1983:27). სწორედ რომ იტალიაში დაიბეჭდა 1629 წელს სტეფანე პაოლინისა და ნიკიფორე ირბახის (თემურაზ პირველის ელჩი) მიერ. ლექსიკონში ტექსტი სამ სვეტადაა განაწილებული: პირველ სვეტს ქართული სიტყვები შეადგენს; მეორე სვეტში ქართული სიტყვის ლათინური ტრანსლიტერაცია მოცემული სიტყვებზე მახვილებითურთ; მესამე სვეტში კი ქართული სიტყვების იტალიურიგანმარტებებია. ქართული-იტალიური ლექსიკონის 3084 სიტყვა პირველი მცდელობაა ქართულენოვანი სიტყვების ანბანურ რიგზე დალაგუბისა (ჩიქობავა ა.ვაჩეიშვილი ჯ., 1983:28-29)

მისიონერებს საქართველოში დაუარსებით სკოლებიც, ხოლო ქრისტეფორე კასტელმა შეადგინა სურათების ალბომი საქართველოს შესახებ. იგი საქართველოში ჩამოვიდა 1628 წელს პატრი ანტონიო ჯარდინასა და ბერ კლაუდიოსთან ერთად კასტელმა დაგვიტოვა უნიკალური ალბომი საქართველოს მოგონებებზე, რომელშიც აღწერს 1628-1654 წლებში საქართველოში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებას. კასტელის მიერ შვიდ სქელტანიან ტომად შეკრული 500-ზე მეტი ჩანახატი და შეგრებილი მასალები დაცელია პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში (ხატარა-



ქრ. კასტელი, ავტოპორტრეტი
რენატო მასალები დაცელია პალერმოს კომუნალურ ბიბლიოთეკაში (ხატარა-

იშვილი ქ., 1980:429). მისი ხელით სურათებზე შესრულებული მინაწერები წარმოდგენილია ლათინურ, ბერძნულ, იტალიურ, სირიულ, ებრაულ, სპარსულ, თურქულ, ქართულ ენებზე. მისი ცნობები გამოირჩევა სანდოობით, განსაკუთვებით სამეგრელოს შესახებ (ჩომახაშვილი ი., http://criticlovers.blogspot.com/2013/01/blog-post_5.html)



თეიმურაზ პირველი მეუღლე
ხორეშანთან ერთად
(ნახ. ქრ. კასტელისა)



ბაზრობა ეკლესიასთან
(ნახ. ქრ. კასტელისა)

მისიონერების დამსახურებით იტალიაში საფუძველი ჩაეყარა ქართული ხელნაწერების შეკრებას, რაშიც დიდი წვლილი შეიტანა პიეტრო დელა ვალემ (1586 - 1652). მან რომში ჩაიტანა უძველესი ქართული ხელნაწერი და დაგვიტოვა უნიკალური ისტორიული ცნობები ნაშრომში „ინფორმაცია საქართველოს შესახებ“ (1627).



პიეტრო დელა ვალე

მეცნიერული ცოდნის გაცვლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია „ქართული ენის გრამატიკის“ გამოცემა (1643 წელს), რომელიც დაკავშირებულია მარიო მაჯოს სახელთან (ფეიქრიშვილი ქ., 2015:198) მარი ბროსეს მიერ გამოცემულ გრამატიკამდე უცხოელები ამ გრამატიკით სარგებლობდნენ. ცალკეული უზუსტობების მიუხედავად იგი მრავალმხრივ საყურადღებო მოსაზრებებსა და დასკვნებსაც შეიცავს. პრაქტიკულად მათ შეუწევს ხელი საქართველოში გრამატიკის საკითხების კვლევა-ძიებას.

კავკასიის ხალხთა კულტურის, ისტორიისა და ენის საკითხების კვლევას ხელშეკრულების აღმოსავლეთმცოდნეობის

ინსტიტუტში, რომლის წინამორბედი აღმოსავლეურ ენათა კოლეჯი დაარსდა 1722 წელს. ქართულ ენას ბერძნულ-

ლათინურთან აკავშირებდა იტალიელი მეცნიერი ლორენცო ერვასი. უფრო მეტიც, იგი ეკროპელი და კავკასიელი იძერების ნათესაობაზეც ამახვილებდა ყურადღებას. 1787 წელს მისი ავტორობით გამოიცა მრავალენოვანი ლექსიკონი. სამეცნიერო ლიტერატურაში მან პირველმა დაბეჭდა ჭანური დიალექტის ორი ნიმუში (ტექსტი)

1935 წელს ნებაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის განახლებულ ინსტიტუტს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ორიენტალისტი ბ. ბარბიელინი. მას ერთხანს საქართველოშიც უცხოვრია. მის კალამს ეკუთვნის საინტერესო გამოკვლევა ქართველი ხალხის ერთ-ერთი სუბეთნოსის - ხევსურების შესახებ („გინ არიან ხევსურნი“). მის სახელთანაა დაკავშირებული ქართველოლოგიის კათედრის დაარსება აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, რომელშიც შემოიღო ქართული ენის სავალდებულო ორწლიანი სასწავლო კურსი, რომელიც მიყვადა იქ მოღვაწე მეცნიერს შალვა ბერიძეს.

დღეისათვის ქართველოლოგიური ცენტრები არსებობს იტალიის სხვა ქალაქებშიც, კერძოდ ვენეციასა და მილანში. ქართული ენის საფუძვლიანი მცოდნე, ვენეციის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის კათედრის დამაარსებელი ლუიჯი მაგაროტო ეწევა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო და მთარგმნელობით საქმიანობას (წითელი ბ., 2001, N 3,4). იქ არსებულ ქართველოლოგიურ ცენტრს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა, გამოდის „გურნალ „გეორგიკას“ იტალიური სერია (ჟუჟუნა ფეიქრიშვილი, ქართველოლოგიის შესავალი, თბ.2015, გვ.199). ლუიჯი მაგაროტოს აქამად ჰყავს უამრავი ახალგაზრდა მიმდევარი ქართველოლოგი: ჯორჯო როტა, ლუკა ტაშფერი, ანდრია ფერირაზი და სხვები. იგი არის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი (ფეირიშვილი ქ., 2015:199-200).

ქართველოლოგიური კვლევებიიტალიაში გააქტიურდა მე-20 ს. დასაწყისიდან. იმ პერიოდში იტალიაში მოღვაწეობდნენ ქართველი ემიგრანტი მეცნიერები: ბ. თამარაშვილი, მიხ. თარხნიშვილი, შალვა ბერიძე და სხვები. ეს ფაქტორი იქცა ერთგვარ ხელშემწყობად ქართველოლოგიური კვლევების გააქტიურებისათვის.

სამშობლოდან იმულებით წასული მიხეილ თამარაშვილი (1859-1911 წწ.) 1891 წლიდან დაფუძნდა იტალიაში. 1894 წელს მოიპოვა დვოისმეტყველების დოქტორის სამეცნიერო წოდება. ვატიკანის, საფრანგეთის, იტალიის, თურქეთის, აღექსანდრიის, მოსკოვისა და ლონდონის არქივებში გამოავლინა საქართველოს ისტორიის ამსახველი დიდალი ახალი მასალა, რაც აისახა მის ფუნდამენტალურ გამოკვლევაში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“ (1902 წ.), ხოლო რომში ფრანგულად გამოქვეყნებულმა ნაშრომმა „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ (1910) ვატიკანის საეციალური პრემია დაიმსახურა.

იტალიაში მოღვაწეობდა გერმანული, ფრანგული, იტალიური, ლათინური, ბერძული, სირიული და რუსული ენების მცოდნეპიროვნება ბ. თარხნიშვილი. ფასდაუდებელია მისი დვაწლი უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებში დაცული უძველესი ქართული წარწერების, ხელნაწერებისა და ლექციონარების გამოქვეყნება-შესწავლაში. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა დავასახელოთ

ვირჯილიო კორბოს მიერ პალესტინაში აღმოჩენილი უძველესი წარწერები, რომლებიც მ. თარხნიშვილმა პირველმა გაშიფრა მეცნიერულად და გამოთქვა საგულისხმო მოსაზრებანი. გარდა ამისა, მან დიდი შრომა გასწია გრაცის უნივერსიტეტისა და ვატიკანის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერების გამოსაქვეყნებლად.

მ. თარხნიშვილი სიცოცხლეშივე იყო აღიარებული, როგორც სახელგანთქმული მეცნიერი, ღრმად განსწავლული პიროვნება. მან ევროპაში აღზარდა ქართველოლოგთა მთელი თაობა; მთელი სიცოცხლის მანძილზე რუდუნებით, სიყვარულითა და საოცარი მხედობით თავს დასტრიალებდა უძველეს ქართულ მწერლობას.

სორბონის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული შალვა ბერიძე (1892-1970 წწ.) - 1936 წლიდან ცხოვრობდა იტალიაში, ნეაპოლში. იგი პროფ. პ. ბარ-ბიჯლინმა მიიწვია ნეაპოლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ქართველოლოგის კათედრის გამგედ. მან არაერთი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა ქურნალში: „ბედი ქართლისა“. განსაკუთრებით აღსანიშნავია წიგნები: „ქართული ენა იტალიაში“, „ბასკური და ქართული“, „რუსთაველის მსოფლიო მნიშვნელობა“, „რუსთაველი და მედიცინა“ და ა.შ. 1945 წელს ნეაპოლში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული თარგმანი.

მარავალმხრივი მოღვაწეობით გამოირჩევა გერმანულენოვან ქვეყნებში არსებული ქართველოლოგიური ცენტრები. თავად გერმანიაში ქართველოლოგის საწყისად მიჩნეულია მე-17 საუკუნე, როცა ქართული ენისა და დამწერლობის საკითხებზე გერმანულ წიგნებში დაფიქსირდა პირველი ცნობა. **გ. ლაიბნიცი** (1647-1716 წწ.) პირველი შეეცადა მოეძებნა ქართულსა და ინდოევროპულ ენებს შორის მსგავსება. იგი პირველია, რომელმაც გაამახვილა ყურადღება ლინგვისტიკის საკითხებზე (Меркулов В., 2010)



გ. ლაიბნიცი

ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიექვა მე-19 ს. მეორე ნახევრიდან. **ფრ. მიულერმა** უარყო ინდოევროპულ ენებთან ქართულის ნათესაობა. მისი აზრით ქართული არცერთ ენას არ ენათესავება თანამედროვე მსოფლიოში და ქმნიან სრულიად დამოუკიდებელ ენათა ოჯახს კავკასიის სხვა ენებთან ერთად (ფეიქრიშვილი ჭ., 2015:201).

ცოდნის გაცვლისა და ქართველოლოგიური კვლევების სფეროში განსაკუთრებულია **ადოლფ დირის** (1867-1930) მოღვაწეობა, რომელიც 1902-1913 წლებში კავკასიაში ცხოვრობდა. მან 1904 წ.

გერმანულად გამოაქვეყნა ნაშრომი „თეორიულ-პრაქტიკული გრამატიკა თანამედროვე ქართული ენისა“ (1904), ხოლო 1928 წ. „კავკასიურ ენათა შესწავლის შესავალი“.

გერმანიაში, იენის, ფრანკფურტის, მიუნისენის, ბერლინის, ჰალეს, ოლდენბურგის, ბონის სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობენ წარმატებული ქართველოლოგები: **ჰაინც ფენრიხი, კარლ შმიდტი, ვინც რიდ ბოედერი, იოსტ გიპერტი, ულ-**

რის ბოგი და სხვები. მეოცე საუგუნის მკვლევართაგან გერპარდტ დეეტერსმა, არტურ ლაისტმა, ჰუგო ჰუპერტმა, გერტრუდ აეჩმა, იულიუს ასფალგმა და სხვებმა დისერტაციებიც კი დაიცვეს ქართველოლოგის საკითხებზე. გ. დეეტერსმა ქართული ლიტერატურის, საქუთრივ „ვეფხისტყაოსანის“ საკითხებს მიუძღვნა ვრცელი ნარკვევი, ხოლო სადისერტაციო ოქმად შეარჩია ქართული ზმნა, რომელსაც მიუძღვნა საფუძვლიანი გამოკვლევა (რ ე ვ ი შ ვ ი ლ ი შ, 1973, N 3). მისი აზრით ქართული დამწერლობა ბერძნულიდან მომდინარეობს და ის გაქრისტიანების შემდეგ არის შექმნილი.



**თსუ-ს საპატიო დოქტორები: ბერნანდ უტიკ, იოსტ გიპერტი,
ვინფრიდ ბოედენი (2009 წელი)**

ქართველოლოგიური მეცნიერების განვითარებაში დიდია გერმანელი მეცნიერის, ფრანკფურტის გოეთეს უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის, ბათუმისა და თბილისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორის იოსტ გიპერტის წვლილი.



გიპერტი და ა. ბაგურიძე, ბათუმის უნივერსიტეტი, 14 09. 2013

გიპერტი დაეუფლა ქართველურ ენებს: ქართულს, მეგრულს და სვანურს. შეისწავლა აგრეთვე ძველი ქართული ენა და ვენაში 1993 წ. გამოცემულ ნაშრომში „ირანულიდან ნასესხები სიტყვები სომხურსა და ქართულში“ გამოაგლინა ირანული ლექსიკური ერთეულები და დაადგინა ქართულში მათი შემოსვლის გზები და გავრცელება.

უაღრესად დიდია ოსტ გიპერტის წვლილი გერმანია-საქართველოს სამეცნიერო კონგრესის გაფართოებასა და გაღრმავებაში. 1999 წლიდან დღემდე 10-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი განახორციელა ქართველ კოლეგებთან ერთად ფოლქსფაგნის ფონდის მხარდაჭერით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქართველური და კავკასიური ენების ელექტრონული დოკუმენტაციის მიზნით შექმნილი საინტერნეტო პლატფორმა „არმაზი“. (https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2_%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98)

ქართულსა და უცხოურ პრესტიულ უურნალებსა და კრებულებში ოსტ გიპერტმა გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი საქართველოს შესახებ, კერძოდ: „ქართული წყაროები ბულგარეთის ისტორიის შესახებ“ (1985), „ძველი სომხური და კავკასიური კალენდრის სისტემები“ (1986), „თვეების სახელწოდებები ძველ ქართულში“ (1988); „ლათინური ლექსიკა კავკასიაში“ (1993) და მრავალი სხვ. მის სახელს უკავშირდება ძველი ქართული ენის გამოქვეყნებული ძეგლების ელექტრონული კორპუსის შექმნა.

გიპერტის მიერ ფრანგულურის უნივერსიტეტში 2002 წ. დაარსდა კავკასიოლოგიური კათედრა. იგი ქართველოლოგიური კვლევის უმნიშვნელოვანების კერად იქცა უნივერსიტეტში ამჯამად იკითხება „შედარებითი ქართველოლოგია“, „ძველი ქართული“, „ახალი ქართული“, მეგრული, ლაზური და სვანური ენები.

ოსტ გიპერტი აგტიურად თანამშრომლობს ქართულ უნივერსიტეტებთან. მისი ინიციატივით 2011 წელს ხელი მოწერა ბათუმისა და ფრანგულურის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობაზრდობის მემორანდუმს, რომელიც ითვალისწინებს ბათუმის უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შემოღებას, საზაფხულო სკოლების ჩატარებასა და ერთობლივი სამეცნიერო პროექტების განხორციელებას. ამ მემორანდუმის ფარგლებში 2012 წლიდან ბათუმის უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება საზაფხულო სკოლა. ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას გერმანიაში რამდენადმე უწყობს ხელს ქართული სათვისტომოები. იქნისა და თბილისის უნივერსიტეტები გამოსცემებ ერთობლივ ჟურნალს „გეორგიკა“-ს.

1927 წლიდან ბონის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გრიგოლ ფერაძე. მისმა ნაშრომმა „მონაზნობის დასაწყისი საქართველოში“ იმთავითვე მიიქცია საქციალისტთა უურადღება. გერმანიიდან იგი ოქსფორდის უნივერსიტეტში გადავიდა, შემდეგ კი პოლონეთში და დაარსა ჟურნალი „პატროლოგია“. ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა გრ. ფერაძე, ხელს უწყობდა ქართული კულტურის პოპულარიზაციას და ქართველოლოგიური ჯვლევა-ძიების გააქტიურებას (დავიდოვი რ., 1990, 31 იანვარი).

გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობების ამსახველი საინტერნისტიებების ორგანიზება, გამომცემლობის დაარსება, უცხოელი სტუდენტებისათვის „ქართულ-გერმანული სასაუბროს“ შედგენა, კლასიკოსი ქარ-

თველი მწერლების ნაწარმოებთა თარგმნა დაკავშირებულია აგრეთვე მრავალ-მხრივი მოღვაწის ნიკოლოზ ჯანელიძის (1920-1993) სახელთან. ქართველთაგან პირველს 1983 წელს მიენიჭა ალბერტ შვაიცერის მშვიდობის პრემია(ფეიქრიშვილი ქ, 2015:230).

ქართველოლოგიური კვლევების საქმეში საქმაოდ დაწინაურდა ავსტრიის არაერთი სამეცნიერო დაწესებულება. განსაკუთრებით ფასეულია გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის ჰუგო შუხარდტის (1842-1927) მოღვაწეობა. მან გადა-არჩინა და ქართულ კულტურას შემოუნახა VII-X საუკუნეების ძველი ქართული ხელნაწერები, რომლებიც ამჟამად დაცულია გრაცის უნივერსიტეტში.

ჰუგო შურარდტი 1880-იან წლებში დაინტერესდა ქართულით, დაამყარა სამეცნიერო კონტაქტები ქართველ მეცნიერებთან და საზოგადო მოგვაწეებთან: ილია ჭავჭავაძესთან, პეტრე მელიქიშვილთან, ნიკო მართან, ალექსან-დრე ცაგარელთან, დავით სარაჯიშვილთან და სხვებთან. შუხართს ორ ათეულამდე გამოკვლევა აქვს საქართველოს შესახებ. სწორედ ქართული-სადმი მისმა დიდმა სიმპათიამ გადაარჩინა ეს უნიკალური ძეგლები, რომე-ლიც ვიღაც გადამყიდველის ხელში იყო მოხვედრილი. ჰუგო შუხარდტმა 500 გულდენად შეიძინა ეს ხელნაწერები, რომლებმაც ბინა დაიდეს გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. VII საუკუნით დათა-რიდებული ქართული ლექციონალი ბიბლიოთეკის მშვენებაა, რადგან იგი არის ყველაზე ძველი ხელნაწერი გრაცში დაცულ 400 000 ხელნაწერებს შორის (ფუტკარაძე თ., 2016:25).




ხელნაწერებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლე-თის ხალხების და მათ შორის ქართველების ლიტერატურული მემკვიდრეობის, ქრისტიანული კულტურის ისტორიის, ძველი ქართული ენის გრამატიკის კონკრეტული თუ ზოგად თეორიული საკითხების კვლევის თვალსაზრისით.



სომხური დეკლიონარი

სელნაწერებს შორის განსაკუთრებული ღირებულებისაა მე-10 ს. სომხურ-ქართული პალიმსესტი, რომელიც პირველი 4 ფურცელი ნუსხურით, ხოლო დანარჩენები კი ასომთავრულითაა შესრულებული. იგი ყურადღებას იქცევს აკინძვის ორიგინალური ხერხების თვასაზრისითაც (ფუტკარაძე თ., 2016:25).



**სომხურ-ქართული
პალიმფსესტი**

შუხარდტმა გრაცის უნივერსიტეტში შექმნა ქართული ენის შემსწავლელი სტუდენტების ჯგუფი. იგი თავად ამეცადინებდა ახალგაზრდებს და ამზადებდა მომავალი საკვლევა-ძიებო სამუშაოების შესრულებისათვის. მან პირველმა მიაქცია ყურადღება ისეთ ენობრივ მოვლენებს, რომლებიც ქართველი მეცნიერებისათვისაც კი შეუმჩნეველი იყო. მაგ. მახვილის ბუნება, მკვეთრი თანხმოვნების თავისებურება. იგი არც ქართულ-ბასქური ენების ნათესაობას გამორიცხავდა (ფეიქრიშვილი ქ., 2015:204-205).

როცა ვსაუბრობთ აგსტრიულ სქოლაზე ყურადღების მიღმა ვერ დავტოვებთ პოეტ ჰუგო ჰუპერტის დამსახურებას, რომელმაც 1955 წ. გერმანულ ენაზე ახლად აამეტ-ყველა შოთა რუსთაველის „ვეფხისტეალსანი“ და განაახლა აგსტრიულთა ინტერესი პოემის მიმართ (ფეიქრიშვილი ქ., ქართველობრივი შესავალი, 2015, გვ:204-205).


ქართველობიური კვლევები წარმოებს ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს შვეიცარია-ში არსებული ქართველობიური ცენტრები. შვეიცარიელთაგან პირველი ქართველობიური ნაშრომი ექვთვნის დიუბუა დე მონპერეს. თავის წიგნში „მოგზაურობა კაგასიაში“ ავტორმა წარმოადგინა საქართველოს სიძველეების შესახებ საინტერესო ინფორმაცია და დაურთო ატლასიც.

დიუბუა მონპერე საქართველოს გეოლოგიის პირველი მკვლევარიცაა. მან პირველმა შენიშნა კავკასიონის ნაოჭა სისტემის ახალგაზრდა (გვიანმესამეული) ასაკი და შეადგინა საქართველოს პირველი გოელოგიური რუკა.

შვეიცარიის ქ. ციურისში მოღვაწეობს შესანიშნავი ქართველობიური ლექციური. იგი იყო ციურისის უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის ფუძემდებლის პროფესორ კიტა ჩხენკელის მოწაფე. სწორედ ამ კათედრაზე ადიზარდნენ ცნობილი ქართველობობები: იოლანდა მარშევი, რუთ ნოიკომი, ლეა ფლური და სხვები. ლეა ფლური მაღალ სასტამბო მეურნეობის მოწესრიგების და წიგნის აწყობის საკითხებში გახდა კ. ჩხენკელის თანაშემწევე. 1974 წელს ციურისის კანტონის ხელმძღვანელობამ „ქართულ-გერმანულ ლექციონზე“ მომუშავე კოლექტივის დგაწლისა და ლექციონის გამოსაცემად გაწეული მრავალწლიანი მუშაობისათვის დააჯილდოვა ლ. ფლური, იოლანდა მარშევი და რუთ ნოიკომი.

ამჟამად ლეა ფლური განაგებს კ. ჩხენკელის მიერ ციურისში დაარსებულ გამომცემლობა „ამირანს“, მოთავეობს ქართველობიური ლიტერატურის ბეჭდვისა და პოპულარიზაციის საქმეს (იმნაიშვილი ვ., 2008:482).

ჩხენკელის მოწაფეებს შორის არიან იოლანდა მარშევი, რუთ ნოუკ-მი და სხვები. იოლანდა მარშევი მასწავლებლის კ. ჩხენკელის გარდაცვალების შემდეგ მოთავეობს ჩხენკელის ლექციონის დასრულების საქმეს, განაგებდა ქართული ენის კათედრას, ასწავლიდა ქართულ ენას, გამოსცა „გერმანულ-ქართული ლექციონი“ (1999 წ.), ქართველ მწერალთა მოთხოვებების გერმანუ-



„გეფხისტყაოსნის“
გერმანული თარგმანი



ლი თარგმანები. 2008 წელს იოლანდა მარშევი აირჩიეს თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად.

საკმაოდ ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრები ფუმქციონირებს **საფრანგეთში**. მართალია ჯერ კიდევ მე-17 ს-ში ცნობილმა ფრანგმა მოგზაურმა ჟან შარლენმა დაგვიტოვა ნაშრომი „მოგზაურობა საპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში“, რომელშიც დიდი ადგილი დაუთმო საქართველოს და მოგზაურობის შთაბეჭდილებები შეაგვსო ანტიკურ და საპარსელ წყაროებში დაცული ცნობებითა მისიონერთა ინფორმაციებით, მაგრამ ქართველოლოგიური სკოლის დაარსება დაკავშირებულია **მარი ბროსეს**

(1802-1880 წ.). სახელთან.

მ. ბროსეს მეცნიერული თანამშრობა აკავშირებდა თეიმურაზ ბაგრატიონთან და სენ მარგენთან. რუსეთში გადასვლის შემდეგ იგი აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხსრით. პეტერბურგის უნივერსიტეტში იგი კითხულობდა საჯარო ლექციებს საქართველოსა და ქართული ფილოლოგიის ისტორიაში. მის სახელს უკავშირდება „ქართლის ცხოვრების“ თარგმნა და გამოცემა 7 ტომად (თბილისი, ენციკლოპედია, 2002:350).



1920-იანი წლებიდან ნაყოფიერ ქართველოლოგიურ საქმიანობას ეწევა აგრეთვე პარიზის კათულიკური უნივერსიტეტის პროფესორი **მორის ბრიერი**. იგი ასწავლიდა ქართულ ენას, იკვლევდა ქართული კულტურის ძეგლებს, აქვეყნებდა „ბიბლიის“ ძელქართულ ტექსტებს ლათინური თარგმანით. მისი თანაავტორობით ფრანგულად გამოიცა შატბერდის კრებულის რექსტები (შანიძე ა., 1960, 6 მაისი, № 19).

ფრანგ ქართველოლოგთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავთ: **რენე ლაფონს** (1899-1974 წ.), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორს (რომელმაც ქართულ-ბასკური ნათესაობის საკითხებს მიუძღვნა არაერთი ნაშრომი), (თურნავა ს., 1983:144).

ერნარდ უტიეს (ქართული კულტურის პოპულიზატორს, ქართულ-სომხური, ქართულ-სირიული, ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხების მკვლევარი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო უცხოელი წევრი, სორბონის უნივერსიტეტში ძელი ქართული ლიტერატურის ისტორიის ლექტორს, კაცკასიური ბიბლიოთეკის დამაარსებელს), უორუ დიუმეზილს, რობერ ტროიმფს, ჟან პიერ გიუგლიელმს, ფრანსუა მარ ტელამონს, შარლ მერსიესა და სხვებს (ფეიქრიშვილი ქ., 2015:2012-2013).



რენე ლაფონი მეუღლესთან და ქართველ მეცნიერებთან (აკაკი შანიძე, ლევან გიძნაძე, გიორგი ახვლედიანი, ივანე იმნაიშვილი, თინა ძოწენიძე, გურამ მეგრელიძე, ილია ტაბაშვა, თამაზ გამყრელიძე) ერთად (თბილისი, 1967)

ქართველოლოგიური სკოლის გააქტიურებას ხელს უწყობდა სხვადასხვა ჟურნალის გამოცემა. ერთ-ერთი ასეთი იყო ჟურნალი „ბედი ქართლისა“ (რევიუ დე კარტველოლოგი), რომელიც დაარსდა გმიგრანტი ქართველი მეცნიერის კალისტრატე სალიას (1901-1986) მიერ საფრანგეთის ეროვნული სანეცნიერო ცენტრის ნებართვითა და ფინანსური დახმარებით. ჟურნალში სტატიები იძეჭდებოდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ზოგჯერ იტალიურ ენებზე. სალიამ ჟურნალის გარშემო შემოიკრიბა მსოფლიოში ცნობილი ქართველოლოგები, ორიენტალისტები, კავკასიოლოგები. ჟურნალი გამოდიოდა 1984 წლამდე. კ. სალიას კალამს ეკუთვნის ფრანგულ ენაზე 1980 წ. გამოცემული „ქართველი ერის ისტორია“, რისთვისაც ავტორმა საფრანგეთის აკადემიის პრემია დაიმსახურა.

მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებლად დიდ ბრიტანეთში მიიჩნევნ პლატონ იოსელიანისა და გაბრიელ ეპისკოპოსის რელიგიური ხასიათის ნაწარმოებების ინგლისურად მთარგმნელს სოლომონ სოზარ მალანს, რომელსაც 1872 წელს ქუთაისში ყოფნისას გელათში წირვა-ქადაგება ქართულ ენაზე ჩაუტარებითა. მისი ტრადიციები გააგრძელა ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა უილიამ რიჩარდ მორფოლმა, რომელმაც დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული ენა ქართული ენისა და დამწერლობის საკითხებს საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა, მაგრამ განსაკუთრებულია და-ძმა მარჯორი (1868-1909) და თლივერ (1864-1948) უორდროპების დამსახურება. მათ სრულყოფილად შეისწავლეს ქართული და ინგლისურად თარგმნეს სულხან-საბა ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის და სხვათა ნაწარმოებები. მარჯორი უორდროპმა თარგმნა აგრეთვე „ვეფხისტეაოსანი“, რომლითაც პირველად გაცენო ინგლისურ ენაზე მკითხველი საზოგადოება შოთას უკვდავ პოემას.



მარჯორი და ოლივერ უორდოპები

მოგვიანებით უორდოპების ოჯახის შეწირულების სახელზე ოქსფორდის უნივერსიტეტში მარჯორი უორდოპის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაბარსდა ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლის წამახალისებელი ფონდი.იგი აფინანსებს ლექციებს, კვლევით სამუშაოებსა და შრომების გამოცემებს ქართველობის დარგში.

XX საუკუნეში ინგლისის ქართველოლოგიური ცენტრი კიდევ უფრო გაიზარდა და გაფართოვდა. ინგლისში მოღვაწეობენ: უილიამ ალენი, დევიდ ლანგი, რობერტ სტივენ-სონი, სტივენ ჯოუნსი, დონალდ რეიფილდი, დევიდ ბრაუნდი, რობერტ პარსონსი, ჰარილდ ბეილი, ქეთრინ ვიკიანი, თამარ დრაგაძე, ლორდი ქოლინ რენფრიუ, რობერტ ტომპსონი და სხვები (ფეიქრიშვილი ჭ., 2015:2013-2014).

მძლავრი ქართველოლოგიური სკოლები არსებობს ბელგიაში (პაულ პეტერსი, ჟერარ გარიტი, მიშელ ებროკი), **ამერიკის შეერთებულ შტატებში** (რობერტ ბლეიქი, ჰოვარდ არისონი, ალის ჰარისი, კევინ თუითი და სხვები), **ჩეხეთში** (იარომირ იედლიჩკა), **პოლონეთში** (იან ბრაუნი), **უნგრეთში** (ლაიოშ ტარდი) (იხ. ხუციშვილი რ., 1992) **ნორვეგიაში** (ჰანს ფოგტი) და სხვა ქვეყნებში.

ამჟამად ათეულობით ქართველი მეცნიერი სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს საერთაშორისო კვლევით პროექტებზე. მათ შორისაა **გია დვალი** - თეორიულ ფიზიკაში მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვან ფიზიკოსი, პრესტიული სამეცნიერო პრემიის ლაურეატი. კოსმოლოგიის, კვანტური გრავიტაციის და ადრეული სამყაროს ევოლუციის საკითხების მკვლევარი. გ. დვალის ექსპერიმენტი ფინანსდება (სამმილიონ-ნახევარი ევროთი) გერმანიის სამეცნიერო ინსტიტუტის მიერ. იგი მონაწილეობს აგრეთვე ევროპის ბირთვული კვლევების ლაბორატორია **CERN**-ში მიმდინარე ექსპერიმენტებში, არის მიუნხენის მაქს პლანკის ინსტიტუტის სამეცნიერო დირექტორი და ნიუ-იორკის სამეცნიერო უნივერსიტეტის პროფესორია (შეღია რ., 2017 წ. 15 აგვისტო).

ზაზა კოგაია, შვედეთში ლუნდის უნივერსიტეტსა და პოსპიტალთან არსებულ დეროვანი უჯრედების ცენტრის ხელმძღვანელი, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მეცნიერად ითვლება. მან საოცარი სამეცნიერო უნარები თავდაპირველად ტვინის პათოლოგიების კვლევისას გამოავლინა, რის გამოც ნერვული დეროვანი უჯრედების ბიოლოგიის ლაბორატორიის და ხეირომეცნიერების პროგრამის ხელმძღვანელად დაწინაურდა. (შელია რ., 2017 წ. 15 აგვისტო)



გია დვალი



ზაზა კოგაია



ალექსანდრე ესაძე

ალექსანდრე ესაძე, პოპკინსის უნივერსიტეტში შიდსის მეურნალობის უახლეს მეთოდზე მომუშავე მეცნიერთა ჯგუფის წევრი. მისი სამედიცინო-სამეცნიერო საქმიანობა წლების წინ ტექსასის უნივერსიტეტში დაიწყო, დღეს ალექსანდრე ესაძე ხუთ მნიშვნელოვანპროექტში მონაწილეობს (შელია რ., 2017 წ. 15 აგვისტო).

თამარ პაზიაშვილი, სტენფორდისა და კალიფორნიის უნივერსიტეტების პროფესორი, ნობელის პრემიის შემდეგ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ჯილდოს- Michael Prizel დაურეაბი ეპილეფსის კვლევის საკითხებში მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან მეცნიერად ითვლება (შელია რ., 2017 წ. 15 აგვისტო).

ალექსი ბაიდოშვილი, პირველი მეცნიერი მსოფლიოში, რომლმაც Labron-ის ლაბორატორიის მუშაობა ახალ ტექნოლოგიებზე ააწყო და ციფრულ ტექნოლოგიაზე გადაიყვანა.


ლევან ზანდარაშვილი, პენსილვანიის სამეცნიერო ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომელი, კიბოს დავადების წინააღმდეგ მებრძოლი სამეცნიერო ჯგუფის წევრი (შელია რ, 2017 წ. 15 აგვისტო).



თამარ პაზიაშვილი



ალექსი ბაიდოშვილი



ლევან ზანდარაშვილი

ქართველები ითვისებდნენ და ითვისებენ ევროპული ისტორიული აზროვნების მიღწევებს. ისინი თვალით ქმნიდნენ და ქმნიან ორიგინალურ გამოკვლევებს, ინარჩუნებენ თვითმყოფადობას და ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით წარუშლელ კვალს ტოვებენ ზოგადსაკაცობრიო კულტურის ისტორიაში.

XIX- XX საუკუნეების ქართული მეცნიერება და კულტურა მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპის მეცნიერებასა და კულტურასთან. ქართველები ითვისებდნენ ფრანგული, გერმანული, ინგლისური მეცნიერების, საზოგადოებრივი აზროვნების და კულტურის მიღწევებს.

თანამედროვე პერიოდის საინფორმაციო ტექნოლოგიები გარკვეულ გავლენას ახდენენ სამეცნიერო ცოდნის გაცვლა-ტრანსლიაციაზე. საინფორმაციო ტექნოლოგიების ინტენსიუფიკაცია განაპირობებს განათლების დონის ამაღლებას, ინტელექტუალური საზოგადოების თვისობრივ განვითარებას. გაჩნდა დისტანციური სწავლების სისტემები. ადამიანი აღმოჩნდა სრულიად ახალი რეალობის წინაშე. ადრე ცოდნის ტრანსლიაცია ხებოდა კონტროლირების ფარგლებში, ეხლა კი, ინტერნეტის მასობრივი გამოყენების პირობებში წინა პლანზე სწავლების მკაცრი სტრატეგია. სხვადასხვა სახის ინფორმაციის მრავალფეროვნება აძნელებს მასალის შერჩევას და ცოდნის ტრანსლიაციას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თურმავა - 1983. თურნავა ს., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 6, თბილისი;
2. იმნაიშვილი-2008. იმნაიშვილი გ. ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბილისი;
3. რევიშვილი-1973. რევიშვილი შ., გერპარდ დეებერსი და ქართული ლიტერატურა, «უცხო ენები სკოლაში», 1973, N 3;
4. ფეიქრიშვილი-2015. ფეიქრიშვილი შ., ქართველოლოგიის შესავალი, თბილისი;
5. შანიძე - 1960. შანიძე ა., პროფესორი მორის ბრიერი, „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, 6 მაისი, № 19;
6. შელია - 2017. შელია რ., საზღვარგარეთ მოღვაწე წარმატებული ქართველი მეცნიერები, გაზ. „კვირის პალიტრა, 2017 წ. 15 აგვისტო;
7. ჩიქობავა - 1983. ჩიქობავა ა., ვათვიშვილი ჯ., „პირველი ქართული ნაბეჭდი გამოცემები“, თბილისი;
8. ჩომახაშვილი ი., ქრისტეფორე კასტელი და მისი მისია http://criticlovers.blogspot.com/2013/01/blog-post_5.html)
9. წიფურია-2001. წიფურია ბ., ლუიჯი მაგაროტო, ქართული ლიტერატურის მკვლევარი: „ბურჯი ეროვნებისა“, N3,4. 2001.
10. ხატარაიშვილი - 1980. ხატარაიშვილი ქ., ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბილისი;

11. ხუციშვილი - 1992. რ. ხუციშვილი, ლათონ ტარდი და ქართველობობია, თბილისი;
12. Меркулов - 2010. Меркулов В. И. Откуда родом варяжские гости? (Генеалогическая реконструкция по немецким источникам), Москва;
13. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%98%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%A2_2_%E1%83%92%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A2_%E1%83%98

Ketevan Phutkaradze

Kartvelological studies abroad and Georgian immigrant researchers in the context of academic exchange exchange

Summary

Kartvelological studies produced in foreign countries are of utmost importance in terms of exchange of academic knowledge. In this case, great empathy is made by Georgian emigrants. Georgian scholars who have been forced to go to different countries in the world have been trying to spur the centuries-old interest in European peoples to Georgia and Georgian culture in the scientific turnover. The article is about these issues

ნატო ქიქაგა

საბართველო-კოლონიალის ურთიერთობის საკითხები აჭარის საარმიზო
სამხართველოში დაცული ღორჯენოფების მიხედვით
(კოლონიალური შესახებ არჩივში დაცული ღორჯენოფების მიმოხილვა)

ქართული საზოგადოება ყოველთვის გამოხატავდა განსაკუთრებულ და-
მოკიდებულებას პოლონეთისადმი. ჩვენს ურთიერთობებს პქონდა არა მარტო
პოლიტიკური, არამედ ეკონომიკური, კულტურული თუ სამხედრო ხასიათი. ასე-
თივე ინტერესი იყო პოლონელების მხრიდანაც საქართველოს მიმართ. ისინი
ადრიდანვე გაეცნენ ქართულ კულტურას და არაერთი გამოკვლევა მიუძღვნეს
საქართველოს ისტორიისა და კულტურის საკითხებს. სახელმწიფოებრივი და-
მოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კი გვერდში დაუდგნენ ახალგაზრდა
სახელმწიფოს და მაშინვე გამოხატეს მზადყოფნა ვარშავაში საქართველოს
წარმომადგენლის მივლინების შესახებ. შესაბამისად, პოლონეთიც უახლოეს
პერიოდში მოავლენდა თბილისში საკუთარ წარმომადგენელს ტიტუს ფილიპო-
გიჩის ხელმძღვანელობით, პირდაპირი მეგობრული ურთიერთობების დამყარე-
ბის მიზნით. პოლონეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა 1919 წლის
დასაწყისში, ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ საქართველოს დე-იურედ აღია-
რებამდე 2 წლით ადრე.

1918 წ. აპრილში საფუძველი ჩაეყარა პოლონეთის დიპლომატიურ მისი-
ებს საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, მაგრამ მისიებმა მუშაობა
დაიწყეს 1920 წ. მარტში (**Wojciech Materski, „Polisko-Gruziński sojusz wojskowy“ („The Polish-Georgian Military Alliance“), *Polityka: Wydanie Specjalne (Politics: Special Edition)*, 2/2008, ISSN 1730-0525, p. 69**).

იმ დროისთვის, ერთ-ერთი პოლონური სამხედრო რაზმი (Polska Oddzielna Brygada) სრულად დაკომპლექტებული იყო იმ ჯარისკაცებისგან, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობამდე, რუსეთის არმიის კავკასიურ ნაწილში მსა-
ხურობდნენ. ამ რაზმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თბილისში წესრიგის
დამყარებაში. რაზმი დაიშალა გერმანიის ზეწოლით, 1918 წელს. ჯარისკაცთა
უმრავლესობა ოდესაში, გენერალ ლუკიან ჟელიკოვსკის პოლონურ მე-4 მსრო-
ლელ დივიზიას შეუერთდა და შემდეგ პოლონეთში დაბრუნდა (**WF Reddaway,
JH Penson, O. Halecki, R. Dyboski (1980), *The Cambridge History of Poland*, p. 475. Cambridge University Press**).

საქმეში დაცულია პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობათვის
განკუთვნილი სამოქმედო ინსტრუქცია (ასს, ცსა, ფონდი ი-84, ან. 1. საქმე 12,
ფურც.3,4).

Инструкції для Представителя Грузії въ Польшѣ.

1. Нашъ Представитель въ Польшѣ во всѣхъ своихъ заявленіяхъ, какъ официальныхъ, такъ и неофициальныхъ, не долженъ забывать, что точка зрения Правительства Грузіи особенная по вопросу о независимости нашей Республики. Мы вовсе не исходимъ въ своихъ домогательствахъ изъ ненависти или чувства недоброжелательства къ Россіи. Мы добиваемся нашей независимости потому, что имеемъ на то историческое и юридическое право. Нашъ народъ созрѣлъ для своего независимаго существованія. При необычайно трудныхъ условіяхъ онъ создалъ крѣпкій государственный аппаратъ. Образдочный порядокъ, свободныя условія обожитія, армія и гвардія, организованное общественное мышленіе всей націи, поть та реальная сила, на которой зиждется независимая демократическая Республика Грузіи. Мы не враги русскому народу, мы не мыслемъ ему устраиваться какъ того онъ не захочетъ, но одновременно требуемъ, чтобы и представители русского народа не пытали народа Грузіи угрызать свою жизнь такъ, какъ того требуютъ его жизненные интересы и его историческая традиція. Словомъ нигдѣ и ни въ чёмъ не должно быть проявлено того чувства непререкаемости и злобы, каковыя сквозятъ въ заявленіяхъ представителей другихъ націй, жившихъ на территории бывшей Российской Имперіи, но наше непоколебимое убѣжденіе и явная решимость отстаивать свою независимость не должна оставлять даже тѣни сомнѣнія.

2. Съ Советской Россіей у насъ существуетъ мирное соглашеніе. Мы твердо стоимъ на почвѣ этого соглашенія. Имеемъ признаніе наше суверенность и незыбматльство въ наши внутреннія дѣла. Въ своихъ дальнѣйшихъ взаимоотношеніяхъ съ Советской Россіей, мы исходимъ изъ этого основного положенія и этимъ должны характеризоваться наши взаимоотношнія съ Советской Россіей. Ни одного шага, ни одного заявленія ни въ прессѣ, ни въ нотахъ не должно быть ничего враждебнаго по отношенію къ Советской Россіи. Мы относимся къ ней, какъ государству, съ которымъ мы находимся въ договорныхъ отношеніяхъ.

3. Отношение наше къ Польшѣ вполнѣ дружественное: мы сочувствуем ея домогательствамъ возстановленія Польши въ ея историческихъ границахъ. Само с собой разумѣется, что отдельные спорные вопросы ея съ Россіей касаются они территорій или иныхъ сферъ, выходитъ за предѣлы нашихъ взаимоотношеній съ Польшой. Тутъ мы не судья. Вовлекать себя въ эту спору абсолютно не допустимо.

Польско наши интересы совпадаютъ, а они могутъ совпадать при защитѣ нашихъ общей независимости, когда ей угрожаетъ опасность Грузія будеъ координировать свои шаги съ Польшей.

4. Польша заинтересована въ признаніи нашей независимости и она должна въ этомъ отношеніи намъ помочь. Она можетъ внести какъ особый пунктъ въ свой договоръ съ Совѣтской Россіей. Обосновать такое положеніе не трудно. Польша еще не признала Грузію и она ее совместно Совѣтской Россіей признать въ договорѣ.

5. Могутъ буть сдѣланы предложения въ смыслѣ вступленія въ союзъ съ Польшой и съ другими пограничными государствами для защиты независимости. Въ принципѣ это приемлемо. Такого рода заявленіе можетъ буть сдѣлано. Союзъ долженъ быть оборонительнымъ, это Но окончательное оформление этого акта должно буть поставлено въ зависимости отъ Правительства.

Всѣ эти пункты основы. Частности - экономическая и иная связь. Объ этомъ надо запросить и другія вѣдомства. Какъ то Министерство Торговли и Промышленности. Почта и телеграфъ и т.д.

საქართველომ მეორედ, უკვე საბჭოთა ოქუპაციის დასრულების შემდეგ 1991 წელს ხელახლა გამოაცხადა სახელმწიფო დამოუკიდებლობა. მალევე, 1992 წ 24 მარტს პოლონეთის ხელისუფლებამ აღნიშნულთან დაკავშირებით მიიღო რეზოლუცია, ხოლო იმავე წლის 28 აპრილს ჩვენს ქვეყნებს შორის აღდგა დიპლომატიური ურთიერთობები.



ქართველი იუნკრები და ოფიცრები კონსტანტინეპოლიდან პოლონეთში გამგზავრების მოლოდინში, 1922 წელი

აჭარის საარქივო სამმართველოში არც თუ ისე მრავალრიცხოვანი, მაგრამ საყურადღებო დოკუმენტებია დაცული პოლონეთისა და საქართველოში მოღვაწე პოლონელების შესახებ. ამ დოკუმენტებში ასახულია ორ ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობის საინტერესო დეტალები, ბათუმის თვითმმართველობის საქმიანობაში პოლონელთა მონაწილეობის, გრ. ვოლსკის ძეგლის დადგმასთან დაკავშირებული საკითხების, „პოლონერი სახლის“ საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები და ა. შ.

ერთ-ერთ საქმეში წარმოდგენილია საბჭოთა ტერიტორიაზე მყოფი უცხო ქვეყნების ქვეშევრდომების ანგერები. ერთ-ერთი ასეთია პოლონელი ქალბატონი თეოფილე მიხაილოვსკაია, დაბადებული 1888 წლის 29 მაისს, საშუალო განათლებით (ასსცსა, ფ. რ-77 საქმე 35, ფურც.2).

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფორმულარული სია პოლონერი წარმოშობის ცნობილი ქართველი პუბლიცისტის, პოეტის, ექიმის, ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის წევრის, გრიგოლ იოსების ძე ვოლსკის (ფსევდონიმი უმწიფარიძე) ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იგი საქართველოში გადმოსახლებული პოლონელი პატრიოტის ოჯახშია დაბადებული. დოკუმენტში მოცემულია ვოლსკის ასაკი, სახელი, მამის სახელი, თანამდებობა, რელიგიური აღმსარებლობა, წლიური ხელფასი (2400 მანეთი), სოციალური წარმო-

მავლობა (თაგადური წარმოშობა) და ა.შ. ამ დოკუმენტში ჩანს, რომ იგი სწავლობდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტში, სადაც 1886 წ. დაამთავრა სამედიცინო ფაკულტეტის სრული კურსი და მიენიჭა ექიმის კვალიფიკაცია. 1888 წელს მუშაობდა რკინიგზის უბნის ექიმის თანამდებობაზე. 1895 წლის 25 იანვარს, აირჩიეს ბათუმის საქალაქო სათათბიროში ბათუმის თვითმმართველობის წევრად (4 წლის ვადით). ამ თანამდებობაზე იგი დაინიშნა 1995 წ. 9 იანვარს, შინაგან საქმეთა მინისტრის N31 ბრძანებით. თვითმმართველობის წევრად იგი მეორედაც იქნა არჩეული 1889 წ. 7 იანვარს, რომელიც დამტკიცდა სამხედრო გუბერნატორია N 25 ბრძანებით. 1908 წ. 8 ოქტომბრიდან იგი ბათუმის ქალაქის თავის მოადგილეა. სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა მიღებული არ აქვს. საქმიდან ჩანს, რომ აღნიშნული ფორმა თავად გრ. ვოლსკის თხოვნითაა შესრულებული 1907 წ. ივლისში.

გრ. ვოლსკის შესახებ არსებული საარქივო მასალებიდან ჩათლად ჩანს ამ პიროვნების დაუდალავი შრომა და საქმიანობა საქართველოს ინტერესების დასაცავად, ქალაქის განვითარებისათვის. მისი თაოსნობით 1889 წელს ბათუმში აშენდა ახალი ქართული სკოლა, რომელსაც შემდგომ თავადვე ემსახურებოდა უფასოდ, როგორც ექიმი. მას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის 1897 წელს ბათუმის ქალთა პროგიმნაზიის, ხოლო 1900 წელს ვაჟთა ვიმნაზიის დაარსებაში, მისივე ინიციატივით 1902 წელს გაიხსნა და 1903 წელს გაფართოვდა ბათუმის პირველი საავადმყოფო, იმავე წელს გაიხსნა ბათუმის გაერთიანებული საჯარო ბიბლიოთეკა, 1908 წელს კი – ბათუმის საბავშვო მუზეუმი. გრ. ვოლსკიმ დიდი წელიდი შეიტანა აჭარის მოსახლეობის კულტურული განვითარების საქმეში. იგი ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების აჭარის განყოფილებას. იგი სარგებლობდა საოცარი ავტორიტეტით მოსახლეობის ფართო ფენებში.

სწორედ მისმა დამსახურებამ განსაზღვრა უდიდესი სიყვარული და პატივისცემა. მისი პუბლიცისტური წერილები, პატიოლული ლექსები და თარგმანები იძეჭდებოდა უმწიფარიძის ფსევდონიმით. პოეზიას იგი „ჩაგრულთა ფარის“ ფუნქციას აკისრებდა.

გრიგოლ ვოლსკის დამსახურება ყურადღების მიღმა არ დარჩენია ქართულ საზოგადოებას. სწორედ ამიტომაც დაისვა გრ. ვოლსკისადმი ერთჯერადი დახმარების გაწევისა (12 წლიანი დაუდალავი შრომისათვის) და (ასეცხა, ფ. რ-77, ს. 35) მისი ძეგლის გახსნის აუცილებლობის საკითხი. დოკუმენტში დაცულია 1910 წლის 29 მარტით დათარიღებული ბათუმის პოლიცმეისტერის მიერ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორისადმი გაგზავნილი საიდუმლო წერილი. მასში მოთხოვნილია გაზეთ „ბატუმსკი ვეს-



ტის“ 21 მარტის ნომერში დაბეჭდილი ინფორმაციის შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქში ქართველებს ჩამოუყალიბებიათ კომიტეტი ჟურულის თავმჯდომარეობით და მოუთხოვიათ ცნობილი საზოგადო მოღვაწის გრიგოლ გოლძეს ქის ქედზე დადგმა.

1907 წლს ვოლძეს თავს დაესხნენ და მძიმედ დაჭრეს. საქმიანობის გააგრძელა მხოლოდ 1908 წლიდან პედაგოგის პოზიციაზე თბილისის კერძო გიმნაზიაში გარდაიცვალა თბილისში. დაკრძალულია ბათუმში, თუმცა მისი საფლავი დღემდე დაკარგულად ითვლებოდა. ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, 2019 წ. 30 აპრილს, პროფ. რამაზ სურმანიძემ გაახმოვანა ვოლძეს დასაფლავების ზუსტი ადგილი. ქ. ბათუმის ერთ-ერთი ქუჩა ვოლძეს სახელს ატარებს.

საარქივო დოკუმენტებში საინტერესო ცნობებია აგრეთვე საზოგადოება „პოლონური სახლის“ საქმიანობის შესახებაც (ასს ცსა, ფ. ი-7, ან.1, საქმე488, ფურც.39). ერთ-ერთ სხდომაზე განიხილეს საზოგადოება „პოლონური სახლის“ განკარგულებაში არსებულ ტერიტორიაზე სკოლის მშენებლობის საკითხი. „პოლონური სახლის“ საზოგადოების მმართველობა გამოხმაურება კომართვის და გეორგიევსკის ქუჩების კვეთაში არსებულ 137,32 კვ.მ. მიწაზე სკოლის მშენებლობის საკითხს, მაგრამ ცნობად იქნა მიღებული ის, რომ იმ ტერიტორიაზე გათვალისწინებული ყოფილა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის მშენებლობა. ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ აღნიშნულ საკითხზე საუბარი შეწყდა.

ქალაქის თვითმმართველობა მხარს უჭერდა აღნიშნული პროექტის განხორციელებას, მაგრამ თუკი საჯარო ბიბლიოთეკა უარს ეტყოდა მმართველობას აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, მაშინ იგი გადაეცემოდა საზოგადოება „პოლონურ სახლს“. აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაუქმების შემთხვევაში ეს მიწის ნაკვეთი უნდა გაწმენდილიყო და დაუბრუნებოდა ქალაქს. დოკუმენტს ხელს აწერს ქალაქის თავი თავადი ანდრონიკაშვილი და ქალაქის მმართველობის წევრი მ. ჟურული. ქალაქის თვითმმართველობამ კვლავ მოისმინა ეს საკითხი 1909 წლის 1 ივლისს და გადაწყვიტა საკითხის გადაცემა მიწის კომისიისათვის, რომელსაც უნდა გამოეთქვა მოსაზრება მსგავსი მშენებლობისათვის ადგილის შერჩევასთან დაკავშირებით. (ასს ცსა, ფ. ი-7, ან.1, საქმე, 488, ფურც. 39). მიწის კომისიამ, გამომდინარე იქიდან, რომ ბათუმში თითქმის ყველა ეროვნებას აქვს საკუთარი სკოლები, ეს მიწა გადაეცეს საზოგადოება „პოლონურ სახლს“ სკოლისა და ბიბლიოთეკის მშენებლობისათვის (ასს ცსა, ფ. ი-7, ან.1, საქმე488, ფურც.40).

ამავე საქმეში დაცული ხმოსანი კურტოევმა გამოსვლიდან ჩანს, რომ ბათუმში იმ დროს 20-მდე პოლონელი ცხოვრობდა. საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ხმოსნები: პანასავეჩი, საბაევი, კვიცინსკი და სხვები. ქალაქის თვითმმართველობამ ხმოსნების უმრავლესობით (8-12 ის წინააღმდეგ) საკითხის განხილვა კვლავ გადასცა მიწის კომისიას, რომლის შემადგენლობაში დამატებით შეიყვანეს ხმოსნები: კანდელაკი, დიმიტრიადი, ჩხაიძე, კრინიცები და ბერძენიშვილი (ასს ცსა, ფ. ი-7, ან.1, საქმე488, ფურც.42).

ІЧЕСТВО

СКІЙ ДОМЪ"

Іюня 1918 г.

Батумъ.



ЗАКАЗЫВАЮЩИЕ
САДАСАДИЗАМУ

ВЪ БАТУМСКУЮ

ГОРОДСКУЮ УПРАВУ

№ 118.

Совѣтъ О-ва "Польскій Домъ" имѣетъ честь до-
вести до свѣдѣнія Городской Управы, что взамѣнъ вы-
бывшихъ З-хъ лицъ, пополнившихъ составъ Городской
Думы въ качествѣ гласныхъ есть Батумскихъ поляковъ
| Р.М.Юркевича, К.Л.Корыбутъ-Дашкевича и Л.Э.Гал | ,
ныи избраны: | гражданскій инженеръ Іосифъ Рому-
альдовичъ ПАНАСЕВИЧЪ, 2 | инженеръ-технолоғъ Георгій
Константиновичъ КЕРСНОВСКІЙ и 3 | педагогъ Сигиз-
мундъ Войцеховичъ ДЕ-МЕЗЕРЪ, проживающіе: первый-по
Эристовской ул. въ своемъ домѣ, второй-по Грузинскомъ
переул. № 4 и третій-по Тифлисской ул. № 4, въ кварт.
Г-жи Арнольди.



Предсѣдатель Совета

Грицкій

Секретарь

„Зოლონეро სახლის“ შესახებ საარქივო დოკუმენტები დაცულია სხვა
ფონდებშიც. ერთ-ერთ დკუმენტში დაცულია საზოგადოება „Зოლონერი სახ-
ლის“ წერილი, რომლის მიხედვით ბათუმელი პოლონელებისაგან ქალაქის
მმართველობაში წარდგენილია სამი კანდიდატურა: რ.მ. იუგევიჩი, კ.ლ. კერ-
ძე-დაშკევიჩი და ლ.ე. გაია. თვითმმართველობაში შემდგომში არჩეულებს შო-
რის დასახელებული არია: ინუნერი - იოსებ რემუალდის ძე პანასევიჩი

(მცხოვრები ერისთავის ქუჩაზე, საკუთარ სახლში), ინჟინერ-ტექნიკოლოგი - გორგი კონსტანტინეს ძე კერსნოვსკი (მცხოვრები საქართველოს კვეთა N4 -ში) და პედაგოგი - რიგიზმუნდ ვეიცეხის ძე დემაზერი (მცხოვრები ტფილისის ქუჩა N 4 -ში ბატონი არნელდის ბინაში) (ასე ცხა, ფონდი ი-7, ან.1, საქ.701, ფურც.91).


საარქივო მასალებში გვხვდება კურსდამთავრებულის მოწმობებიც. ერთ-ერთი ასეთი მოქმედია გაცემულია ბათუმელი პოლონელის ბორესლავ იანუშევიჩის სახელზე და დათარიღებულია 1913 წ. 18 ივნისით. დოკუმენტიდან ჩანს, რომ მას დაუმთავრებია სახალხო განათლების სამინისტროს „პოლონური სახლის“ სახწავლებლის კურსები ერთკლასიანი პროგრამით და გამოუვლენია სანიმუშო ყოფაქცევა:

1. დვორისმეტყველება - 4
2. რუსული ენა - 4
3. პოლონური ენა - 3
4. არითმეტიკა - 3 (ასე ცხა, ფონდი ი-7, ან.1, საქ.701, ფურც.91).

დოკუმენტს ხელს აწერს მასწავლებელი და საზოგადოება „პოლონური სახლის“ საბჭოს წევრები (ასე ცხა, ფონდი ი-7, ან.1, საქ.701, ფურც.91).

საარქივო მასალები-დან ჩანს, რომ ბათუმელი პოლონელები აქტიურად არიან ჩართული ქალაქის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, დასაქმებულნი არიან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სააფ-თიაქო დაწესებულებებში N ი-44-ს მეორე საქმეში წარმდგენილია ფარმაცევტულ აფთიაქში დასაქმებულთა ექსკაციანი სია (1875-1890 წწ.), რომელთა შორის 2 პოლონელია. პოლონელია აფთიაქის მფლობელიც - ნიკოლა ანტონის ძე (გვარი არიკითხება, სავარაუდო გლაბჩუსკი) (ასე ცხა, ფ. ი-44, ს. 2, ფურც. 6)

პოლონელია აგრეთვე მეორე აფთიაქის მფლობე-




ლი კლასინსკიც. მისი აფთიაქი მუშაობდა 1909-1916 წწ. (ასე ცხა, ფონდი ი-44, საქმე 2, ფურც. 6).

საქართველოში, მათ შორის ბათუმში მცხოვრებ პოლონელებს ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, საზოგადო მოღვაწეებთან. დიდია პოლონელთა დამსახურება ქართული კულტურის განვითარების საქმეში. პოლონელებმა დიდად შეუტყვეს ხელი ქვეყნის განვითარების ინიციატივის საქართველოს ბუნებით, წერდნენ ეთნოგრაფიული ხასიათის ნაშრომებს, ხატავდნენ და ა. შ. საქართველოში მცხოვრებ პოლონელთა შორის იყვნენ მწერლებიც, ე.წ. პოლონური კავკასიური პოეზიისა და პროზის შემქმნელები: ტადეუშ ლადაზაბლოცკი (1813-1847), ვოიცებ პოტოცკი (1801-1848), კაზიმიე ლაშინსკი (1823-1892). ამ უკანასკნელმა პოლონურად თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. ცნობილია მისი ნაშრომები საქართველოს მცენარეთა გეოგრაფიასა და ფლორისტიკაში. ამავე დროს, ის სამხედრო ინჟინრად მუშაობდა კავკასიის რკინიგზის მშენებლობაზე. ცნობილ ლიტერატორთა შორის შეიძლება დავასახელოთ მ. გრალევსკი და ბ. სტელნიცკი.

პოლონელმა არქიტექტორებმა დააგეგმარეს და ააგეს მრავალი შენობა მეფეთუბანში (მიხეილის, შემდგომ პლეხანოვის, ამეამად დავით აღმაშენებლის გამზირზე, რომელიც ტოვარნიცკიმ დააპროექტა 1835 წელს). 1882 წელს სამხრეთ კავკასიის რკინიგზის პირველი უფროსი პოლონელი ინჟინერი, რკინიგზელი იოსებ კოზლოვსკი იყო (რკინიგზის ეს ხაზი ბათუმს, ფოთს, ბაქოს ცენტრალურ კავკასიასთან - თბილისთან აკავშირებდა).

საოპერო ხელოვნების განვითარებაში დიდია ქართველი მეცნიერის გორგი ელიაზას (ემსევერპლა 1937 წ. რეპრესიებს) პოლონელი მეუღლის, თბილისის ოპერის ვარსკვლავის მელანია ვოლ ლევიცკის წვლილი. იგი თბილისში 1916 წ. ჩამოვიდა და ოპერისა და ბალეტის სცენაზე არაერთი როლი შეასრულა. მისი შვილიშვილის ნატალია მალიევა-დევდარიანის ოჯახში დღემდე ინახება მელანიას რამდენიმე ფოტო.



კავკასიაში პოლონელთაგან დღეს უკელაზე მეტი საქართველოში ცხოვრობს (დაახლ. 1100 კაცი), მათი უმრავლესობა თბილისის მკიდრია. მათგან

ბევრმა შერეული ოჯახები შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მრავალმა პოლონელმა ასიმილაცია განიცადა, ეთნიკური თვითშეგნება და კულტურული ტრადიციები არ დაუკარგავთ, ყოველთვის განსაკუთრებულად აღნიშნავენ პოლონეთის ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს (11 ნოემბერს), ზრუნავენ ლიტერატურის, თეატრის, კინოს, მხატვრობის, ზოგადად, კულტურის განვითარებაზე.

პოლონეთსა და საქართველოს შორის დღეს არსებული კულტურული, სამეცნიერო და პოლიტიკური თანამშრომლობა სახავს ახალ პერსპექტივებს ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოებისა და მეგობრობის განმტკიცების თვალსაზრისით.

ამრიგად, აჭარის საარქივო ფონდებში დაცულია მცირერიცხოვანი, მაგრამ საინტერესო დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ ქართველი და პოლონელი ხალხის მეგობრობისა და თანამშრომლობის ცალკეულ საკითხებს. თამამშრომლობა გრძელდება. ჩვენ მიზნად ვისახავთ დავამყაროთ საქმიანი ურთიერთობები პოლონეთის საარქივო დაწესებულებებთან, შევავსოთ საარქივო ფონდები ორივე მხარისათვის მნიშვნელოვანი დოკუმენტებით.

წყაროები და ლიტერატურა:

1. Wojciech Materski, „*Polsko-Gruziński sojusz wojskowy*“ („The Polish-Georgian Military Alliance“), *Polityka*: Wydanie Specjalne (*Politics*: Special Edition), 2/2008;
2. WF Reddaway, JH Penson, O. Halecki, R. Dyboski (1980), *The Cambridge History of Poland*, p. 475. Cambridge University Press;
3. აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი, შემდგომში - ასს ცსა, ფ. ი-7, ან.1, საქმე 488, ფურც.39, 40, 42;
4. ასს ცსა, ფონდი ი-7, ან.1, საქ.701, ფურც.91;
5. ასს ცსა, ფ. ი-44, ს. 2, ფურც. 6;
6. ასს ცსა, ფ. რ-77 საქმე 35, ფურც.2; ს. 35;
7. ასს ცსა, ფონდი ი-84, ან. 1. საქმე 12, ფურც.3,4.

Nato Kikava

Georgia-Poland Relations Issues According to the documents preserved in Ajara Archives Administration Summary

Georgians always have a special attitude towards Poland. Our relations had not only political but economic, cultural or military also. In article is discussed about these documents.

**АЗЕРБАЙДЖАН
ГЛАЗАМИ ГРУЗИНСКОГО ЭТНОЛОГА**

Азербайджан - одна из красивейших стран южного Кавказа, являющийся частью Великого Шелкового Пути и находящийся на пересечении геополитических, экономических и культурных интересов многих наций и цивилизаций. Это страна с прекрасными городами и селами, где восточный колорит составляет удивительный симбиоз с западным прогрессом. Запад может здесь увидеть Азию, Азия здесь сделает первый шаг в Европу (<http://azerbaijan.travel/ru/azerbaijan>). Азербайджан - это уникальная природа, неповторимая культура, многовековая история со своими обычаями и традициями, изысканная кухня, которая удовлетворит ожидания самого взыскательного гурмана, и наконец, это кавказское дружелюбие и гостеприимство (<http://azerbaijan.travel/ru/azerbaijan>)

Азербайджан гостеприимная страна с прекрасным трудолюбивым народом. Азербайджан выдержал нашествия многих завоевателей. Наконец приобрела долгожданную независимость и обрел достойное место в мировом сообществе. Накануне XX - XXI веков Азербайджан, как и другие страны постсоветского пространства, встал перед выбором - как жить дальше? что убрать и от чего отказаться из прошлого, что сохранить, чтобы избежать международных, гражданских и религиозных конфликтов и создать государство без насилия, жестокости и ненависти. По нашим наблюдениям Азербайджан сформировался как страна - амбициозное государство, нацеленное на прогресс и развитие, но при этом не забывающее своих истоков.

По развитию уровень населения Азербайджан находится в ряду восточно-европейских стран. Страна отличается возрастающим уровнем экономики, системы образования, а также низким показателем безработицы. По показателю Давосского экономического форума 2016 года, среди 138 стран, Азербайджанская экономика занимает 37 место (<http://azerbaijan.travel/ru/azerbaijanno>).

По указу Президента создан гос. Сервис „**АСАН**“, который известен, как агентство против экономической преступности.

Население страны насчитывает более **9,8 миллионов человек**, территории – **86 600 км²**, по обоим этим показателям Азербайджан является крупнейшей страной Южного Кавказа. Баку - столица и самый крупный город Кавказа. Национальный язык - азербайджанский. В обиходе также часто используется русский язык, молодое поколение владеет и английским (<http://azerbaijan.travel/ru/azerbaijan>).

Азербайджан часто называют «Страной Огней». Известно, что большая часть населения, проживающего на этой территории являлась огнепоклонниками. ([https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%B7%D0%BC%D1%80%D0%B1%D0%BC%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD_\(%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%82%D1%8C\)](https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%90%D0%B7%D0%BC%D1%80%D0%B1%D0%BC%D0%B9%D0%B4%D0%B6%D0%B0%D0%BD_(%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B0%D1%81%D1%82%D1%8C))). Одними из самых ярких доказательств этого наследия являются храм огнепоклонников **«Атешгях» в Сураханы**, что вблизи Баку, и **«Йанардаг»**, что в переводе означает **«Горящая гора»**. По легенде храм «Атешгях» был построен индийскими огнепоклонниками, которые прибыли в эти земли, узнав о

вечно пылающем огне, вырывающемся из недр земли. Эти места веками считались священными, и в разное время почитались последователями зороастризма, индуистами и сикхами (<http://azerbaijan.travel/tu/azerbaijan>).

В феврале 2019 года в рамках проекта, Горизонт 2020“ был командирован в Азербайджан, г. Баку, в институт археологии и этнографий академии наук Азербайджана для проведения научных исследований по вопросам обмена знаний и культур. Указанный исследования не состоялись бы без помощи наших азербайджанских друзей: **Заура Гасанова, Ирады Вагировой, Валерии Аликберовой** и других друзей. При содействии наших азербайджанских друзей и руководителя и сотрудников азербайджанских архивов и библиотеки (профессор **Аскер Расулов - Управляющий архивного ведомство Азербайджана**, Эмил Сардаров - директор ЦГА, Сима Бабаева - заместитель директора ЦГА, Эиджане Кабарли - директор библиотеки ЦГА, Рафиге Каренкова - руководитель лабораторий ЦГА, Гизилгуи Бабаева, Аинур Джафарова, Гулниса Джафарова, Шахнаре Гулиева - Сотрудники архива) для нас стала доступна существующая опись архивных документаций о Грузии, в том числе и о Батуми, что стало решающим в организации указанного визита.

შორეულ აღმოსავლეთში საომარი მოქმედებების დაწყებასთან დაკავშირებით ჯაშუშებთან წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება მოექცა სადაზვერვო განყოფილების შტაბის ხელში. ერთდროულად და თითქმის დამოუკიდებლად შორეულ აღმოსავლეთში სადაზვერვო საქმიანობას ახორციელებდა (გარდა ქანდარმერის ორგანოებისა) სამხედრო შენაერთების შტატების სადაზვერვო განყოფილებები, ამურის ოლქის შტაბის სასაზღვრო საგუშაგოები, სამხედრო ჯაშუშები და საკონსულოები ჩინეთში, მაგრამ მნიშვნელოვანი წარმატების მიღწევა ვერ მოხერხდა.

1905 წ. განხორციელდა გენერალური შტაბის რეორგანიზაცია. მას გამოყენ გენერალური შტაბის მთავარი სამმართველო. უცხო ქვეყნის ყველა ჯაშუშებთან დაკავშირებული ძირითადი საქმისწარმოება თავმოყრილი იქნა მე-5 განყოფილების (სადაზვერვო) - შემადგენლობაში (გ შმს).

1906 წლის ივნის - აგვისტოში სამხედრო ოლქის შტაბებში (თავდაპირველად უშტატოებში) ჩამოყალიბება დაიწყო სადაზვერვო განყოფილებებმა. მათთან გადავიდა ჯაშუშებთან ბრძოლის საქმისწარმოება. შიგა ოლქებში ჯაშუშებთან ბრძოლის საკითხებზე ანგარიშებს ადგენდნენ სამწყობრო განყოფილებები, რომლებშიც სადაზვერვო საქმიანობა წარმოადგენდა საიდუმლო დაზვერვასთან დაკავშირებულ შემსვედრ სამუშაოს.

ჯაშუშობასთან ბრძლის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა შიდა დაკვირვება და თვალთვალი. სამხედრო - საოლქო შტაბის სადაზვერვო განყოფილებების უფროსები თვლიდნენ, რომ შიდა დაკვირვება - თვალთვალი წარმოადგენდა იმ მეოდეს, რითაც მთლიანად ამოიწურებოდა კონტრდაზვერვის საქმიანობა.

1907 წლის იანვარში გენერალური შტაბის უფროსის მითითებით მეთვალყურეობა - თვალთვალი დაეკისრა მოძრავი არმიის გამგებს, მაგრამ ვერც ამ ღონისძიებამ გამოიღო სასურველი შედეგი. ამიტომ დადგა დაზვერვის და კონტრდაზვერვის საქმიანობიდან სასაზღვრო საგუშაგოების კორპუსის გათავისუფლების საკითხი. ამ მიზნით შემუშავდა ახალი „ინსტრუქცია სასაზღვრო დაცვის ჩინოსნებისათვის მოსაზღვრე უცხო სახელმწიფოთ“ მიმართ დაზვერვითი სამუშაოების შესახებ. ინსტრუქცია ითვალისწინებდა კონტრდაზვერვასთან დაკავშირებულ მითითებებს სამხედრო ოქლების შტაბებთან ერთობლივი მოქმედების შესახებ საიდუმლო აგენტთა გადმობირების მიზნით.

გატარებული ღონისძიებების მიუხედავად ვერ იქნა მიღწეული სასურველი შედეგები. ვითარების ანალიზმა ცხადეთ ეანდარმერიის ორგანოებისა და სამხედრო ოლქების შტაბებს შორის შეთანხმებული კონტრდაზვერვითი სამუშაოების აუცილებლობა - ძირითადად ხელმძღვანელ რგოლში. 1908 წლის გენერალური შტაბის მთავარმა სამმართველომ მოიწვია საქვეუწყებო ორგანოთა საგანგებო თაობირი, სადაც განხილული იქნა საკითხი უცხო ქვეყნის „ჯაშუშობის“ შესახებ და შემუშავებული იქნა ღონისძიებათა პროქეტი.

ამ საკითხს მიეძღვნა 1909 წლის 25 მარტის თაობირი, რომელიც მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

1. უცხო ქვეყნების სამხედრო ჯაშუშობის საქმიანობის გაფართოება დღის წესრიგში აყენებს ჯაშუშების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას და

კონტრდაზვერვის განსაკუთრებული ორგანოს შექმნის აუცილებლობას;

2. ამ ფუნქციას აქამდე ასრულებდა უანდარმერიის კორპუსი, პერიოდულად გენერალური შტაბის სამმართველო, საზღვაო გენერალური შტაბი და ოლქების შტაბების დაზვერვის განყოფილებები;
3. კონტრდაზვერვის წარუმატებლობა განპირობებული იყო არასაკმარისი ფინანსური რესურსებით, დაზვერვის ხელმძღვანელთა არაკომმპეტენტურობით და გამოუცდელობით, ხელმძღვანელთა ხშირი ცვლით, შემთხვევითი პირების დანიშვნით, ინსტრუქციისა და წესების არქონთ და სხვა ფაქტორებით.

საქმიანობის წარმატებას კიდევ უფრო აფერხებდა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამქებრო განყოფილებებსა და ოლქის შტაბების სადაზვერვო განყოფილებებს შორის შეუთანხმებლობა.

არსებული ინფორმაციის საფუძველზე სამხედრო - სამქებრო დაწესებულებები უნდა გაუქმდებულიყო შემდეგ ქადაქებში: ვარშავა, კიევი, ვილნე, ოდესა, პეტერბურგი, ირკუტსკი. შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის ერთ-ერთ დასაყრდენ პუნქტად უნდა ჩცეულიყო ვლადივოსტოკის ციხე სიმაგრე. თათბირის დადგენილებით კონტრდაზვერვის საგანგებო უწყების ჩამოყალიბება შესაძლებელი იქნებოდა 1909 წლის 1 ივლისისათვის. საკადრო შემადგენლობა ამ ორგანოსთვის უნდა დაკომპლექტებულიყო უანდარმერიის ოფიცერთა შემადგენლობიდან.

აგენტების რეგისტრაცია 1909 წლისათვის კვლავ ხორციელდებოდა ოლქის შტაბების სადაზვერვო განყოფილებებში, ხოლო საქმეთა დამუშავება - შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებში.

როგორც ითქვა, კონტრდაზვერვის სფეროში არსებული წარუმატებლობა გამოწვეული იყო კადრების და ფინანსური უკმარისობით. თათბირის რეკომენდაციები არ ხორციელდებოდა. ამიტო, ოლქის შტაბებმა 1910 წელს კვლავ დააყენეს დღის წესრიგში ეს საკითხები.

1910 წლის ივლისის უწყებათაშორის თათბირზე აღნიშნული წარუმატებლობა არასწორი დაქვემდებარებით იქნა ახსნილი. გადაწყდა, რომ ისინი დაქვემდებარებულიყო ოლქის შტაბებს, ხოლო სამქებრო ნაწილში მათი კონტროლი დაევალა შინაგან საქმეთა სამინისტროს. ასეთი მიღვომა მისაღები იყო გენერალური შტაბისათვის. მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, ამ სფეროში წარმატება მომდევნო ერთი წლის განმავლობაში მაინც ვერ იქნა მიღწეული.

1911 წელს სამხედრო მინისტრის მიერ დამტკიცდა კონტრდაზვერვის განყოფილებების დებულებები, თანდართული დანართებით:

1. რაიონული კონტრდაზვერვის საქმიანობის წესები;
2. კონტრდაზვერვის შტაბები;
3. კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსების ინსტრუქცია;
4. რეგისტრაციის წესები;
5. ინსტრუქცია - კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსების მიერ თანხის ხარჯვისა და აღრიცხვის წარმოების შესახებ.

ამ დებულების საფუძველზე შეიქმნა პეტერბურგის საქალაქო, მოსკოვის (მოსკოვისა და ყაზანის სამხედრო ოლქი), ვილენის, ვარშავის, კიევის, ოდესის (ოდესის სახმედრო ოლქი, დონის ჯარების ოლქი), ტიფლისის (კაგასიის სამხედრო ოლქი), ტაშკენტის (თურქმენეთის სამხედრო ოლქი), ირკუსტსკის, ხაბაროვსკის (პრიმორსკის სამხედრო ოლქი) ონტრდაზვერვის განყოფილებები.

პეტერბურგის საქალაქო კონტრდაზვერვის განყოფილება ექვემდებარებოდა გენერალური შტაბის გენერალ ბინა - სამაგისტროს, დანარჩენები განყოფილებები კი ოლქის სამხედრო შტაბებს. კონტრდაზვერვის შესახებ საქმიანობის ყველა სფერო თავმოყრილი იყო გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოში. განყოფილებების უფროსებს ინიშნებოდნენ გენერალური შტაბის მიერ. მათ არჩევდნენ ჟანდარმერიის შემადგენლობიდან, მოაღილეებს კი მოქმედი საკადრო ოფიცრების შემადგენლობიდან.

კონტრდაზვერვის განყოფილება 1911 წლის ბოლოსათვის ჩამოყალიბდა შემდეგი სტრუქტურის სახით: გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოში სამხედრო კონტრდაზვერვა ეხებოდა გენერალ-ბინა-სამაგისტროს განსაკუთრებული (მე-5) საქმისწარმოების განყოფილებას, რომელთანაც იყო შექმნილი „ცენტრალური სარეგისტრაციო ორგანო“. მას უნდა ეწარმოებინა ჯაშუშების რეგისტრაცია.

ოლქის სამხედრო შტაბებთან არსებობდა კონტრდაზვერვის განყოფილებები, რომელიც ემორჩილებოდა ოლქის გენერალ-ბინა-სამაგისტროს შტაბს.

კონტრდაზვერვის განყოფილების ტექნიკური ხელმძღვანელობა ხორციელდებოდა გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსების მიერ. კონტრდაზვერვის შემადგენლობა ჟანდარმერიის სამმართველოს კორპუსის პირად შემადგენლობაში შედიოდა.

ჟანდარმერიის სამმართველოს რკინიგზის სადგურებზე პქონდა თავიანთი განყოფილებები. ისინი ახორციელებდნენ კონტრდაზვერვით საქმიანობას და ფორმალურად ექვემდებარებოდა ოლქის სამხედრო შტაბებს.

ოლქების კონტრდაზვერვის განყოფილებების ბაზაზე პირველ მსოფლიო ომის პერიოდში -ფრონტისა და არმიის შტაბებთან, შემდეგ ფლოტის საკომანდო შტაბებთან - ჩამოყალიბდა კონტრდაზვერვის განყოფილებები. მოხდა კონტრდაზვერვის ზოგიერთი განყოფილების პასუხისმგებელ თანამშრომელთა გადაადგილება. არმიის და სამხედრო ოლქის შტაბების კონტრდაზვერვის განყოფილებები მექანიკურად აღმოჩნდა გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს დაჭვემდებარებაში, ხოლო ფრონტის მთავარი ხელმძღვანელობა შეუდგა საქმიანობას საერთო ხელმძღვანელობის გარეშე. ამიტომ აუცილებელი გახდა საომარო მოქმედების პერიოდის კონტრდაზვერვისათვის ახალი ინსტრუქციის შემუშავება. ასეთი ინსტრუქცია შემუშავდა და დამტკიცდა 1915 წლის ივლისში. ამ ინსტრუქციით არმიის კონტრდაზვერვის განყოფილებები შეუერთდა შტაბის კონტრდაზვერვის განყოფილებებს, ხოლო ჟანდარმერიის ორგანოებს დაეკისრა მხოლოდ კონტრდაზვერვის საქმიანობის საქმეთა შესრულების ფუნქცია. კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობის უმაღლეს ორგანოდ დარჩა გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს „განსაკუთრებულ საქმეთაწარმოება“, რომელიც წარმოადგენდა უმაღლეს სარეგისტრაციო და აღმრიცხველ დაწესებულებას ყველა სახეობის კონტრდაზვერვის ორგანოებისათვის - საომარო მოქმედების პერიოდში, ასევე სახლმწიფოს შიგნით.

1915 წლის ოქტომბერში, უმაღლესი მთავარსარდლის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა შავი ზღვის ფლობის კონტრდაზვერვის შტაბის დებულება საომარი მოქმედებების პერიოდისათვის, რომლითაც განისაზღვრა საომარი მოქმედებების დროს შავი ზღვის აუზში კონტრდაზვერვის ხელმძღვანელობა. 1916 წლის 14 იანვარს უმაღლს სამეთაურო შტაბთან ჩამოყალიბდა საეციალური კონტრდაზვერვის განყოფილება. კონტრდაზვერვის საქმიანობა მნიშვნელოვნად გართულდა, რაც აისახა ფრონტის და არმიის კონტრდაზვერვის განყოფილებების საშტატო ერთეულის გაზრდაში, დამატებითი კონტრდაზვერვის პუნქტების შექმნაში. მაგრამ საერთო ორგანიზაცია შეუცვლელი დარჩა 1917 წლის აგვისტომდე.


პირველი მსოფლიო ომის დროს გენერალური შტაბის მთავარ სამმართველოსთან არსებული სარეგისტრაციო ორგანო დროებით შეერწყა კონტრდაზვერვის განყოფილებას და ეწოდა სამმართველოს გენერალური შტაბის განყოფილება. 1916 წელს გენერალური შტაბის მთავარ სამმართველოსთან კვლავ შეიქმნა დამოუკიდებელი ცენტრალური სარეგისტრაციო ბიურო.

თებერვალის რევოლუციის შემდეგ უანდარმერიის ორგანოები გამარტივდა. აუცილებელი გახდა კონტრდაზვერვის (რომელიც იყო უანდარმერიის ხელში) საქმიანობის ორგანიზაციული შეცვლა. შემუშავდა კონტრდაზვერვის დებულება როგორც საომარი მოქმედებების დროისათვის, ისე შიდა რაიონებისათვის. ახალი დებულების შესაბამისად კონტრდაზვერვის ორგანოებში 1917 წლის აგვისტოსათვის დასრულდა რეორგანზაცია.

მეფის რესერთის კონტრდაზვერვის სტრუქტურის უკეთ გააზრებისათვის მკითხველს წარმოვუდგენთ გენერალური შტაბის მთავარი სამმართველოს, ოლქების და უმაღლესი მთავარსარდლობის კონტრდაზვერვის განყოფილების სქემებს (იხილეთ დანართი № 1, 2,).


დანართი 1

სქემა სამსედრო ოლქების შტაბების კონტრდაზვერვის განყოფილებები



დანართი 2

შიდა რაიონების კონტრდაზვერვის ქსელი დროებითი დებულების მოქმედების
პერიოდისათვის და შიდა რაიონების კონტრდაზვერვის სამსახურების შესახებ
დამტკიცებული 23.04.1917 წელს



წყაროები და ლიტერატურა:

1. საფუძველი: სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი საარქივო სამართველო მეფის რუსეთის კონტრდაზვერვის ორგანოების დოკუმენტების ცნობარი, მოსკოვი - 1946
2. სსრკ ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო - ისტორიული არქივი, „ მეფის რუსეთის კონტრდაზვერის ორგანოების მასალები“.

Some issues from the history of intelligence
Summary

Espionage became the most important weapon in ancient times when people first came to fight each other when families, tribes, peoples, nations, and finally empires began to interact. Espionage found its reflection in diplomacy too. In the article, based on analyzes of the Russian corresponding bodies, the most important issues of espionage history are presented.

ფრიდონ ქარდაგა

გთავაზინდის პატის წერილი


შეიძლება ისტორიულ ან ქუთაისის არქივში, დავით მეფისა და თამარის ხელნაწერებით განებივრებულ არქივში არ იყოს ასეთი მნიშვნელობის, მაგრამ რეგიონულ არქივში, ბათუმში, რომელიც ყველა ოქუანტები მთაწმინდის კაცის წერილს, რა თქმა უნდა გაგიხდება და შეიძლება იმაზე დიდი მნიშვნელობაც კი მიანიჭო, ვიდრე აქვს ისტორიულადაც და ლიტერატურულადაც.... მიუხედავად იმისა რომ მოსე ჯანაშვილის წერილს ისედაც აქვს ასეთი მნიშვნელობა.

„... მაგგარი პონორარებით“ ვარჩებ სახლობასო -წერს დიდი მეცნიერი და მოგეთუთქება გული, მიუხედავად იმისა, რომ ეს პონორარი ასი რუბლი იყო და შედარებისთვის საღლაც 4 რუბლი დირდა კარგი მეწველი ძროხა მაშინ. 1904 წლის 25 აპრილსაა წერილი დაწერილი. ბარემ წერილითვე დავიწყებდი მაგრამ, მოდოთ ჯერ მაინც „ქართველ დამფუნქციელ მამათთაგან“ ალბათ ერთ-ერთი, გავიხსენოთ, თავისი ბიოგრაფიით.

მოსე გიორგის ძე ჯანაშვილი დაიბადა 1855 წლის 31 მარტს, ჰერეთში, სოფელ კახში, საინგოლოში, აწ უკვე აზერბაიჯანში, გარდაიცვალა 1934 წლის 19 აპრილს, დაკრძალუილია მთაწმინდის პანთენში. ისტორიკოსი, ენათმეცნიერი, ეთნოგრაფი, პუბლიცისტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1875-1920 წწ. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისსა და თბილისში, სადაც ასწავლიდა ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას. პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ჯერ ქუთაისის მ. პეტრიაშვილის პანსიონში, ხოლო შემდეგ პროგიმნაზიაში.

1878 წელს მოსე ჯანაშვილმა დატოვა ქუთაისი და თბილისში გადმოვიდა, სადაც პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ რეალურსა და წმ. ნინოს სასწავლებელში, ქალთა მეხუთე და ვაჟთა მეხუთე გიმნაზიებში, მიწის მზომელთა სასწავლებელში და ბოლოს 1920 წლიდან ქართული ენის ლექტორად პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. იყო შრომის გმირი (1927), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიძეგლეთმცოდნეობის დამსახურებული პროფესორი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო, ასევე ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებების საპატიო წევრი (1930).

ჰერეთში მისი ცხოვრებიდან მნიშვნელოვანია 1851 წელი, როდესაც კახში მდვდელმსახურება აღდგა. 1865 წელს ახალგაზრდა მოსე ჯანაშვილმა იქ დაიწყო სწავლა ახალ სკოლაში. 1896 წლის 7 ოქტომბერვალს „ივერიაში“ გამოქვეყნდა ულ მართა კონჭოშვილისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში მოსე ჯანაშვილი იხსენებს, რომ მისი პირველი მასწავლებლები იყვნენ მართა მახვილაძე, მისი მე-



უდლე პეტრე კონჭოშვილი, შემდეგ ში თბილისის დედათა ინსტიტუტის პედაგოგი. 1865 წლიდან სწავლობდა ქახის სამრევლო სკოლაში. 1868 წელს მოსე ჯანაშვილმა სწავლა განაგრძო ზაქათალის სამაზრო სასწავლებელში, რომელიც დაასრულა 1872 წელს. შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სასულიერო სემინარიაში.

გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან (ი.ჭავჭავაძე, ა.წერეთელი, ხ.მესხი, ი.მაჩაბელი, დ.ბაქრაძე, და სხვ.) ურთიერთობამ ბევრი რამ შესძინა მ. ჯანაშვილს, გავლენა მოახდინა მის მსოფლმხედველობაზე. გონიერი მოსწავლე აქ დაინტერესდა ე. იოსელიანისაგან ჩამოტანილი არალეგალური ლიტერატურით. ამის გამო მ. ჯანაშვილს სემინარიაში ყოფნა გაურთულდა და იძულებული გახდა გაცლოდა „საყვარელ თბილის“.

როგორც ზემოთ ავღნიშვნეთ, 1875 წელს იგი გადავიდა ქუთაისში. მოსე ჯანაშვილმა ქუთაისის გიმნაზიაში გამოცდები ჩააბარა და მასწავლებლის მოწმობა მიიღო. აკადემიაში სწავლის გაგრძელებაზე ამის შემდეგ ადარ უფიქრია. იმოგზაურა ქუთაისის შემოგარენში, ლენინგრადში, რაჭაში, ფოთში. სწავლობდა თანამედროვეთა ყოფაცხოვრებას, დიალექტებს. თბილისში დაბრუნების (1877 წ.) შემდეგაც არ შეუწევებია ასეთი ძიება და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად საინტერესო სტატიებს აქვეყნებდა. წერდა ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში. გახდა კრებულ „ნაშრომის“ რედაქტორი; მოსე აქტიურად მონაწილეობდა ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, დიდია მისი ღვაწლი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კოლეციაში დაცული ძეგლების შესწავლაში. 1898 წელს მოსე ჯანაშვილი აირჩიეს საეკლესიო მუზეუმის გამგედ. მან მუზეუმის პირველ აღწერილობაში შეიტანა 484 წიგნის ანოტაცია, 334 დოკუმენტი. მალე გამოიცა ხელნაწერთა აღწერილობის მეორე ტომი. ამის შემდეგ მან თ. უორდანიას დაწყებული აღწერილობაც დაისრულა. ამავე დროს მოსე ჯანაშვილი სხვა გამოცემებზეც მუშაობდა. როგორც ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფრიდონ სიხარულიძე წერს:

„მ. ჯანაშვილი დაინტერესებული იყო ქალაქების ისტორიით. სწავლული დიდ ყურადღებას უთმობდა როგორც განაპირა, ისე სამშობლოს შიდა მხარეთა წარსულს. შეისწავლა: აფხაზეთი, კახეთი, გურია, ქართლი, ჭანეთი, ტაო-კლარჯეთი. განსაკუთრებული ამაგი დასდო მშობლიური კუთხის მრავალმხრივ კვლევას. სამაგიდო წიგნი „საინგილო“ მ. ჯანაშვილმა კთავაიშვილის თანადგომით გამოსცა. სწავლულის მახვილ თვალს შეუმნეველი არ დარჩენია ის დიდი ზიანი, რაც ჩვენს ქვეყანას მიაყენეს არა მარტო აოხრება-თარეშებით, არამედ სარწმუნოებრივი პოლიტიკითაც.“

მისი კვლევის საგანს წარმოადგენდა ქართული ლიტერატურის ისტორია, ქართული ენა, ეთნოგრაფია, საქართველოს ისტორია და ნუმიზმატიკა. ჯანაშვილის ბევრი ნაშრომი თარგმნილია ევროპულ ენებზე. მის სამეცნიერო მუშაობას დიდად აფასებდნენ ქართველი და უცხოელი მკვლევარები. მის სახელთანაა დაკავშირებული „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ გამოვლენა და გამოცემა, „ქართლის ცხოვრების“ თავისებური ხელნაწერის მიგნება, რომელსაც ჯანაშვილისეული ხუსხა ეწოდა.


მოსე ჯანაშვილმა ღვაწლი დასდო ქართული ენის სალექსიკონო წეართ-
თა მოძიებას, ენის თავისებურებათა დადგენას. ასეთი ძიების ზოგი შედეგი შე-
ჯამებულია მის „ქართულ გრამატიკაში“, რომელიც 1906 წელს გამოიცა. მანვე
მრავალი წელი შეალია ქართული განმარტებითი ლექსიკონის შედგენასა. იგი
იყო რამდენიმე სამეცნიერო საზოგადოების წევრი და წევრ-კორესპონდენტი.

მრავალი ნაშრომი მიუძღვნა აფხაზეთის, კახეთის, გურის, ქართლის, ჭანე-
თის, ტაო-კლარჯეთის საკითხებს. სწორედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
შესწავლასთან დაკავშირებით, კრებულის „ბათუმი და მისი შემოგარენის“
შედგენისას მის ისტორიულ ნაშრომს, ამ მალაზ მნიშვნელოვანი გამოცემის
პერიპეტიებს ეხება მისი ეს წერილიც, რომელიც სწორედაც რომ დაგავიწყებს
ისტიორიულ და ლიტერატურულ მნიშვნელობას, აქ მეტია ჯანაშვილის ადამია-
ნური ბუნებაზე და სულიერ მდგომარეობაზე მოცემული, აქ, ამ ნახევარგველიან
წერილში ლამის უფრო ჩანს მისი მოქლი ბიოგრაფია და ცხოვრება: „**მაგგარი**
პონორარებით გარჩენს სახლობას“-თ წერს სამშობლოს თავგადაგებული კა-
ცი... სამსახური არ ქონდა იმ პერიოდში, ერის მსახურებაში იყო მხოლოდ, მხო-
ლოდ... სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებას პოელობდა, ქართლის ცხოვრების
მანამდე უცნობ ნუსხას პოულობდა, საქართველოზე, ქართველობაზე
ქ.შ.წ.კ.გ.ს სთან ერთად ქართული ერისა და ქვეყნის გადსარჩენად მუშა-
ობდა მხოლოდ, თავს და სახლობას კი რა, ამდაგვარი პონორარების იმჟ-
დადდა არჩენდა, როგორც ექვთიმე
თაყაიშვილი, ერთი მეწველი თხის
მოიმედე; როგორც განდეგილი ვინმე,
სულის სხნადა რომ დაუსახავს მიზ-
ნად ხორცს კი, ხორცს ვიდაცეების
მიერ შემოწირულ პურითა და
წყლითდა რომ ირჩენს. შემთხვევით
არ გვისხენებია განდეგილი; ვებერ-
თელა შრომა ჩადო მან ლიტურგიკი-
სა და სხვა საეკლესიო თუ პაგიოგო-
რაფიული ლიტერატურის შესწავლა-
ში, გამოსცა ქართული ეკლესიის სა-
ხელმძღვანელო.

რაც შეხება წერილს გთავა-
ზობთ მას სრული სახით:

„ღრმად პატივცემულო გიორგი ღურმიშვანის ძევ.

მოგმართავთ, როგორც ბათუმის
საქალაქო გამგეობის წევრს და სა-
ზოგადო მოღვაწეს, ამ თხოვნით. მან-
დაურს თქვენს კრებულში დასრულ-
და ჩემი წერილის ძეგლითა. მაგ წერი-
ლისათვის პონორარი მაქვს აღთქმული. გთხოვთ, თუ შეიძლება, ახლა-



წოდოთ ეს პონორარი იმ ვარაუდით, რომ მაგ წერილის შედგენას, როგორც მის გამოგზავნისათანავე გაუწყებდი ნ.ს. დერჟავინს, მე მოვახმარე არა ნაკლებ 150-180 საათისა. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ მე სამსახურში აღარა ვარ და მაგვარი პონორარებით ვარჩენ ჩემს სახლობას, და ეს არის მიზეზი, რომ ამ თხოვნით პირდაპირ თქვენ მოგმართეთ. ფული კი ეხლა ჩემთვის ფრიად საჭიროა.

თქვენი დრმა პატივისმცემელი მოსე ჯანა შვილი. „


როგორც ჩანს ადრესატი გახლავთ გიორგი დურმიშენის ძე ურული, პირველი რესაუბლიკის ფინანსთა, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბათუმის განყოფილების გამგეობის თავმჯდომარე (1908-1910), ბათუმის ქალაქის გამგეობის წევრი, ამიერკავკასიის ცენტურის კომიტეტის წევრი.

თვითონ სტატიას რაც შეეხება, საუბარია აჭარის დედასამშობლოსთან შეერთების (ეს რუსეთ-თურქეთისთვის რა თქმა უნდა იმპერიული ამბიციების ომი იყო, მაგრამ ჩვენთვის სწორედაც რომ სამამულო, ასე აფასებდა ამ ომსა და შედეგს ილია ჭავავაძე ეს ფაქტი არასოდეს არ დაეჭვებარება რევიზიას, ეს ამ ომში მონაწილე მრავალრიცხოვან ქართველებისთვის წარმოადგენდა სამამულო ომს მიზაცებული ტერიტორიების დაბრუნებისთვის, ისევე როგორც ახლა ვიბრძით რუსეთის ოკუპაციის წინააღმდეგ) 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ კრებულზე „ბათუმი და მისი შემოგარენი“. წიგნი დაიბეჭდა 1906 წელს. როგორც წინასიტყვაობაშია განმარტებული კრებულის გამოცემის იდეა ჯერაც 1902 წელს დაბადებულა. აზრი გასჩენია დოკუმენტში ნახსენებ, ბათუმის გიმნაზიის პედაგოგს ნ.ს. დერჟავინს და ბათუმის მესვეურთათვის მიუმართავს წერილოთა და ინიციატივით და ქალაქის სათაბიროსაც დაუმტკიცებია ეს გეგმა და სწორედ დერჟავინის რედაქტორობით უნდა გამოსულიყო ეს მნიშვნელოვანი წიგნი, მაგრამ 1905 წელს დერჟავინი გადავიდა თბილისში და შესავალში არაა ნახსენები ბათუმის გამგეობაში კონკრეტულად ვინ გაუძღვა რედაქტორობის საქმეს, თუმცა ჯანაშვილის წერილიდან ადვილი საგარაუდებელია რომ დიდ როლს სწორედაც გამგეობის წევრი, ურული, თამაშობდა. წერილში ნახსენები ნიკოლოზ სევასტიანის ძე დერჟავინი გახლავთ (1877-1953) ცნობილი მეცნიერი, სლავური ენების სპეციალისტი, აკადემიკოსი. ის დაიბადა ქალაქ პოესლავში. სოფელში, სადაც ის იზრდებოდა ძირითად ცხოვრობდნენ ბულგარეთიდან გადმოსახლებულები და ის ბავშვობიდან გაიტაცა ბულგარული ენისა და ლიტერატურის შესწავლამ. ოქროს მედალზე დაამთავრა სიმფეროპოლის გიმნაზია,



შემდეგ პეტერბურგის ისტორიულ-ფილოსიფიური ინსტიტუტი. გახდდათ ნიკო მარის ერთგული მოსწავლე და მიმდევარი, იცავდა მის იავებურ სისტემას და ოთხი ელემენტის თეორიას ფაქტიურად სიკვდილამდე სწავლობდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბათუმის გიმნაზიაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასტავლებლად. აქვეყნებდა სტატიებსა და წერილებს. 1904 წლიდან მასტავლებლობდა თბილისის პირველ გიმნაზიაში. (**ვიკიპედიაშინ 1904 წლიდან წერია და იქნება ამ მცირე სტატიაში მისი ბიოგრაფიის ეს ეპიზოდი უფრო დააზუსტოს, საარქივო დოკუმენტიდან ჩანს რომ თბილისში ის გადასულა 1905 წელს.**) თაგმჯდომარეობდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტების საზოგადოებას და აქტიურად მომნაწილეობდა ქ.ს.წ.კ.გ.ს ში. არჩეული იყო კავკასიის პედაგოგთა კავშირის მმართველობის წევრად. კრებული 1903 წელს უნდა გამოსულიყო ბუნებრივია, (მაშინ იყო 25 წლის იუბილე), მაგრამ 1902 წელს დაწყებულმა არჩევნების სამზადისმა შეგვიშალა ხელიო, წერია წიგნის შესავალ წერილში და აი, სამი წლის დაგვიანებით გამოვიდა მაინც. მასში შესულია მოსე ჯანაშვილის წერილში ნახსენები ნაშრომი: „გურიის, ჭოროხის ხეობის და ჭანეთის (ლაზისტანის) ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევი.“ კრებულის სხვა ავტორები იყვნენ ზემოთხესენებული დერევანი, სწორედ მისი სტატიით იხსნება წიგნი. „ ბათუმის ოლქის ისტორიულ გეოგრაფიული ნარკვევი“. კრებულში შესულია: ტტ.სტეფანოვის, გენერალ ლ.პოტოს, ა.ჰ. კრასნოვის; ს.ნ.ტიმოფეევის; ლ.ლ მარკოვის, ნ.ვ. წერეთელის და ი.ს. მესხის ნაშრომები. საუბარიც კი ზედმეტია იმ დიდ მნიშვნელობაზე რაც ამ წიგნს ჰქონდა მაშინაც და ახლაც, რომელსაც უამრავ ნაშრომში იმოწმებენ ცნობილი მეკვლევარები.

ადსანიშნავია რომ არაა ცუდი ნაშრომი დერევანის წერილი, საკმაოდ კარგადაა წარმოჩენილი უძველესი ქართული ისტორიის საკითხები და თითქოსდა არაფერია მასში რუსულ-შვინისტური, მაინც იმოქმედა ეტყობა ბულგარელებთან, მართან და ქართველ მოღვაწეებთან ურთიერთობამ. გაგიხარდება კაცს მაინც შენს წარსულს რომ საამაყოდ ეხება, ვინმე. ბუნებრივია, თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის თვალით უამრავი საკამაოო, სადაო და არასწორად გაგებული საკითხია, მაგრამ ეს აშკარად არაა გამიზნულად დაწერილი. რაც შეეხება მოსე ჯანაშვილს ბუნებრივია მის ნაშრომშიც რამოდენიმე, დღეს უპვე აშკარად უკეთ შესწავლილი და გადააზრებული საკითხებიცაა მაგრამ



ის მთლიანად ემსახურება ქართველი ერის დამოუკიდებლობის, თვითმყოფადობისა და სახელმწიფო გერიონის ბრძოლას, დიდებული ისტორიული წარსულით სიამაგისა და სახელმწიფო გერიონის ხსოვნას. და ალბათ ამიტომაც მოუწია მას ეტყობა პირველი ფურცლის (ნაბეჭდი ფურცლი; 57 გვერდია თანამედროვე გამოცემაში, ნაბეჭდი ფურცლი აღმართ სადღაც 15-20 გვერდს მოიცავდა), ხელახლა დაბეჭდვა. არ მოერიდა ხარჯებს, რომელზეც ქვემოთ ვისაუბრებთ და არაფერი დატოვა ეტყობა სადაო და საკამათოდ რაც კი ქართულსა და ეროვნულს შეეხებოდა. მანამდე კი მთელ კაპადოკიაზე წერს თავის ნაშრომში, იბერიულ ძირებზე... ტრადიციები და ენა და ეროვნება დღესაც იბერიულიათ, ეფრდნობოდა სტრაბონის. მცირედ მიმოიხილავს პონტოს სამეფოს ამბებს და დასძენს რომ პონტოც ადრე კოლხეთში შედიოდათ, ქსენოფონტებები და ერდნობით... გასაგებია საითკენაც უმიზნებს მართლაცდა „დამფუძნებელი მამა“, ეს ქართული მესიანიზმის ერთ-ერთი ადეპტი, მროველის ტრადიციებზე აღზრდილი კაცი, მთელი კავკასია და წინარეაზიაც კი ერთიან ველად რომ მოიაზრება, როსტომ ჩეიიდე „ქალდეას მონატრებად“ რომ მოიხსენიებს. გამწარებით ებრძოდა გარუსების არსებულ და სამომავლო ტენდენციებსაც კი და გვაფრთხილებდა „ახლათბილისის სასულიერო სახსავლებელში უფერულობა, უნაყოფობა სუვერენიტეტის და ასე თუ გაგრძელდა, სრულიად უენონი, უაზრონი და გრძელდით და მუნჯ ადამიანს დაგემხგავებით.“⁷ თუმცად იცოდა რომ გაუნათლებელი საზოგადოება მონაბისოთვისაა განწირული.

ზემოთ ცენტურა ვახსენეთ და საინტერესოა რომ გიორგი უურული იყო ამ დროს ამიერკავკასიის ცენტურის კომიტეტის ერთ-ერთი ცენტური, ნება მასვე გადასცეს საცენტუროდ ჯანაშვილის წერილი? თუ ეროვნულ საკითხებს ითვალისწინებდნენ და ქართველის ნაშრომს მას არ ანდობდნენ?

რაც შეეხება ფულს, აქ არაა არავითარი ინტრიგა, ან მძიმე და დამამწუხრებელი კვანძის გახსნა: ეტყობა უფრო ფასდებოდა მაშინ მეცნიერებაც, განათლებაც და ლიტერატურაც (მაინცადამაინც ბარათაშვილის ხელფასით ნუ განვხვით, გენიოსების ამბავი მაინც გამოხადილისია ხოლმე, თან ჩვენი ტატო ხომ მეცნიერად ან ლიტერატურად არ განუმწესებიათ განჯაში, საკუთარ ნათესავთ, არამედ წერა-კითხვის მცოდნედ, უფრო

О ГЛАВЛЕНИЕ.

	Стр.
1. Введение	I
2. Выпись изъ Берлинского трактата	III
3. Историко-географический очеркъ Батумскаго края— <i>Ж. С. Державинъ</i>	1
4. Историко-археологический очеркъ Гурин, Чороцкаго бассейна и Чапети (Ланстана)— <i>М. Г. Джакашвили</i>	33
5. Исторический очеркъ вступленія русскихъ войскъ въ гор Батумъ 25 августа 1878 г.— <i>М. М. Стефановъ</i>	87
6. Три прошлыхъ кампаний въ связи съ военными дѣйствіями въ районѣ Батумской области—Ген.-л. <i>Потто</i>	113
7. Очеркъ растительности и животного мира близайшихъ окрестно стей г. Батума—Проф. <i>А. Ж. Красновъ</i>	173
8. Сельско-хозяйственный очеркъ Батума и его окрестностей— <i>С. Ж. Тимофеевъ</i>	195
9. Очеркъ батумской торговли нефтяными продуктами— <i>Л. Л. Марковъ</i>	253
10. Очеркъ торгово-промышленнаго развитія гор. Батума— <i>Ж. В. Церетели</i>	349
11. Очеркъ развитія батумскаго городскаго хозяйства— <i>Ж. С. Месхи</i>	457

ПРИЛОЖЕНИЯ:

Карта Батумской области.

Планъ гор. Батума

Планъ Батумского порта.

გადამწერად, მაშინ ნეპოტიზმი უკულმა იყო აშკარად) პო, მისცეს პონორარი ჯანაშვილს:

„ბათუმის ქალაქის გამგეობა

7 მაისი 1904 წელი

ქალაქის გამგეობას აქვს პატივი გამოგიგ ზაგნოთ თქვენ, მოწყვალეო ბატონო, ასი რუბ. საიუბილეო „კრებულისთვის“ შედგენლი თქვენი სტატიისთვის. ამასთანავა გამგეობა ვალად სთვლის გაუწყოთ რომ, სამნახევარი ნაბეჭდი ფურცლისთვის მან განსაზღვრა გადმოგცეთ თქვენ ასორმოცი რუბლი, ფურცლისთვის ორმოცი რუბლის ანგარიშით, ამ თანხიდან კილაძის ტიპივრაფიისთვის პირველი ფურცლის გადაბეჭდვისთვის გაცემული ორმოცი რუბლის გამოკლებით.

გამგეობის წევრი (ალბათ ივანოვი, ხელმოწერა)

საქმეთამწარმოებელი კაზიშვილი“

რაც შეეხება იმ დასანან 40 რუბლს, საარქივო საქმეში შემონახულია ცნობა სადაც საუბარია ჯანაშვილის წერილზე და იმაზე რომ პონორარს ითხოვს, შემდეგ კი განმარტებულია:

„ბატონი ჯანაშვილის სტატია „კრებულის“ გამოცემისთვის მიღებულია, გავლილი აქვს ცენზურა და უპვე დაბეჭდილია, ამასთანავე მოცულობა განისაზღვრა სამნახევარი საბეჭდი ფურცლით.

2/ სტატიის პირველი ფურცლის (საბეჭდი ფურცლის ფ.ქ.) 1500 გვ ზემდარის, /კრებულის ევ ზემპლარების შესაბამისად/ საბოლოოდ დაბეჭდვის შემდეგ ბატონმა ჯანაშვილმა დიამეტრულად გადააკეთა ის, ასე რომ მოგვიწია ამ ფურცლის თავიდან დაბეჭდვა იმავე რაოდენობის 1500 გვ ზემპლარად, შეასამისად ამისთვის საჭირო ხარჯები, ბატონ ჯანაშვილთან შეთანხმებით, გაღებულ იქნა მისთვის გამწესებული პონორარიდან.

3/ თანდართული კილაძის ტიპოგრაფიის ხარჯარრიცხვით, ჯანაშვილის პირველი საბეჭდი ფურცლის ხელახლა დაბეჭდვის ხარჯებს შეადგენს ორმოცი რუბლი“

გაურკვეველი რჩება რა ცვლილებები შეიტანა მეცნიერმა და რატომ, ცენზურის ამბავი რომ ყოფილიყო არ დაუბეჭდავდნენ, ფაქტია რომ ცენზურის გავლის შემდეგ გადააკეთა, ასე რომ მოთვალთვალე დიდი ძმის ხელის გადაჩხაპნილს არ გავს. თუმცა უნდა ითქვას რომ ეს საკითხი ცალკეა შესასწავლი, იმედია ჯანაშვილის ამ ნაშრომის ხელნაწერი დედანი არსებომს და ტექსტის მასთან შედარების შემდეგ შეიძლება რამე ითქვას დანამდვილებით.

ყოველ შემთხვევაში ორმოცი რუბლი უმუშევრი კაცისთვის არ იქნებოდა ნამდვილად უმნიშვნელო; არაა-თქო და კინადამ გამოვიდა „არაბედნიერი“ დასასრული.

და ბოლოს, შეიძლება სიმბოლურიც კი რომ მოსე ჯანაშვილი სწორედ იმ ქართულ მიწაზე დაიბადა რომელიც უკვე ჩვენთვის დაკარგულია; იქნებ სწორედ ჩვენი დიდი მოღვაწეების, ჯანაშვილისთანა მოღვაწების, საქმენი რომ დავივიწყოთ, სწორედ ისაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, ასე უდრტვინველად რომ კარგავთ ქართულ მიწებს... სანამ თავში არ ჩაგვაფარებს წითელ დროშას

ულიანოვ-ორჯონიკიძე და ქიაზიმ ბერი-ათათიშვილი ვეღარ ვხვდებით რომ თურმე იმპერიებს ჩვენი ტერიტორიებიც სდომებიათ. სანამდე გვინდა დაგვიფაროს შარტავა-მაზნიაშვილების გმირულმა გაელვებებმა, რადაცა მაინც ხომ უნდა ვისწავლოთ ისტორიისგან? რატომ არ გვინდა, ასე ჯიუტად, ვისწავლოთ მამულიშვილების დაფასება, და ვისწავლოთ მათი საქმეებისა და გამოცდილების პატივისცემა?

გამოყენებული ლიტერატურა

1. nplg.gov.ge/ilia/ka/00005447/
2. მოსე ჯანაშვილი - ვიკიპედია
3. ფრიდონ სიხარულიძე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.<https://burusi.wordpress.com>
4. მოსე ჯანაშვილი - ვიკიპედია
5. აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-6; აღწერა 1; საქმე 250; ფურცელი 64.
6. <http://www.nplg.gov.ge/ilia/ka/00002239/>
7. <https://burusi.wordpress.com/2010/05/06/mose-janashvili-4/>
8. აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-6; აღწერა 1; საქმე 250; ფურცელი 73.
9. აჭარის საარქივო სამმართველო. ფონდი ი-6; აღწერა 1; საქმე 250; ფურცელი 71

Fridon Kardava

*Letter of Mtatsminda man
Summary*

The article presents the contributions of great Georgian scientist, historian and ethnographer Moses Janashvili.

მზია პეპეშვილი

1877-1878 წლების რუსთ-თურქეთის ომი და ძობულები

(ხიტყა, წარმოთქმული 2018 წ. 12 ოქტომბერს, აჭარის საარქივო სამმართველოს
ტერიტორიულ თრგანო-ქობულეთის არქივში - აჭარის დედასამშობლოსთან
დაბრუნების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ დონისძებაზე)

დღევანდელი შეხვედრა მნიშვნელოვანია არა მარტო ქობულეთისა და აჭარისათვის, არამედ სრულიად საქართველოსთვის. იგი ეძღვნება აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 140 წლისთავს. სიმბოლურია რომ იგი ჩვენს არქივში ტარდება, სადაც ინახება ჩვენი წარსულის, ჩვენი ხალხის მიერ აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტები.

ჩვენს სამშობლოს, საქართველოს თვითმყოფადობის, გადარჩენისა და ერთიანობისათვის უამრავი ბრძოლა გადაუტანია. ქართველი კაცისთვის შრომა და ბრძოლა განუყრელი ცნებებია, რადგან იგი შრომის დროსაც იბრძოდა და ბრძოლის დროსაც შრომობდა. რამდენჯერ განადგურდა ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, ეკლესია მონასტრები, სიწმინდეები, ბაღ-ვენახები, მაგრამ საქართველო ვერ დააჩიქეს. ყოფილა შემთხვევაც - მამულის გადარჩენისათვის, მიწა-წყლის შენარჩუნებისათვის მტერს რომ დაუზავდა ქართველი.

საქართველოს კუთხეებიდან ყველაზე ტრაგიკული ბედი აჭარას ერგო. სამი საუკუნის მანძილზე დედასამშობლოს მოწყვეტილი მხარე სათუთად ინახავდა ქართულ სიტყვას, ქართული ჯიშისა და სისხლის უკვდავებას.

ქობულეთის „ქვეყანა“, როგორც კოლხური სამყაროს ორგანული ნაწილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირეთის ერთ-ერთ წამყვანი რეგიონია. ქობულეთი წინაპარი ჯერ კიდევ ქვის ხანაში დასახლებულა და აუთვისებია ეს დათიური ბუნება. გახუშტი ბაგრატიონი ქობულეთის შესახებ გადმოგვცემს: „კუალად ალამბრისა და აჭყვის სამხრით დის მდინარე ქობულეთისა-მიერთვის ზღვასა ეგრეთვე, ზღვის პირს ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი“

დასავლეთ საქართველოში თუ რომელიმე კუთხე გამორჩეულია ტრადიციებით, სიწმინდეებით, ერთი-ერთი ქობულეთია მისი ისტორიული ხეობებითა და სოფლებით, სადაც უხვადაა შემონახული საქართველოს ოქროს ხანის ძეგლები, სულიერებისა და კულტურის კერძები: შუა საუკუნეების ხინოს ეპარქია, ცხემგანის წმინდა გიორგის სახელობის დედათა მონასტერი, პეტრას ციხე - (ტაძარი მე-VII საუკუნეში ბიზანტიური შემოსევების დროს დანგრეული, XI-XIV საუკუნეებში აღდგენილი, რუსეთ-თურქეთის ომის დროს 1877-1878 წლებში კვლავ განადგურდა), სოფელ ხუცუბანში თეთროსნის ტერიტორიაზე V-VI საუკუნეების წმინდა გიორგის სამონასტრო კომპლექსი; სოფელ ჩეხედანაში მამია გურიელის მიერ შვილის - მანუჩარის სახელზე აგებული წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი; სოფელ დაგვაში პონტონელი ბერძნების მიერ აგებული ყოვლადწმინდა დათისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია; სოფელ კვირიკეში წმინდა გიორგის სახელობის, წმინდა ელენესა და კონსტანტი-

ნეს სახელობის ეკლესიები და წმინდა ქალწულმოწამე კერკირას სახელობის საყდარი და ა. შ.

ეს ყველაფერი ამ ხეობის რელიგიური და პოლიტიკური სიძლიერის გამო-სატულებაა. აქ ქართული საქმე არასდროს გაჩერებულა.

1877-1878 წლების რუსეთ თურქეთის ომს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველი ერის ისტორიაში, ქართველებს იმედი მიეცათ, რომ აჭარა და საერთოდ მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო საბოლოოდ მაინც და-უბრუნდებოდა დედა-სამშობლოს.

ომის წინ სამხრეთ-საქართველოში იმოგზაურა დიმიტრი ბაქრაძემ, გიორგი წერეთელმა, მამია გურიელმა, გიორგი ყაზბეგმა. ეს უკანასკნელი შემაბის უფროსიც კი იყო ომის დროს. ყაზბეგი ყველა ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას, მის გვერდით მისი და ელისაბედიც იბრძოდა- პეტერბურგის სამეანო სასწავლებლის კურსდამთავრებული.

დიდი ბრძოლები გაიმართა მდინარე ჩოლოქზე, მუხაესტატესა და ხუცუბანში. 1878 წლის 25 აგვისტო - მნიშვნელოვანი დღესასწაულია. 31 აგვისტოს ოსმალთა უკანასკნელმა ნაწილებმა ბათუმი დატოვეს.

ქალაქის მოსახლეობა განმათავისუფლებელ ჯარს ბარცხანასთან შეხვდა და მის უფროსს პურმარილი მიართვა. ქვემეთა სალუტმა მოსახლეობას აცნო ომის დასრულება და თურქთა ბატონობის დასასრული აჭარაში. ეს მხარე დედა- სამშობლოს დაუბრუნდა.

ოსმალეთის ბატონობის ქობულეთს ჩურუქ-სუ შეარქევს. მასში 16 სოფელი შედიოდა, სადაც 17 მეჩეთი და 10 მედრესე იყო. ქობულეთში მაშინ ცხოვრობდა 3592 ქართველი მუსლიმი და 538 მუჰაჯირი. დიმიტრი ბაქრაძის სიტყვით ადგილობრივ მოსახლეობას ჰქონდა თურქული გვარები, მაგრამ ახსოვდათ ქართული წარმომავლობა და იყენებდნენ ქართულ გვარებსაც.

ქობულეთი, ბათუმის ოლქთან ერთად რუსეთის იმპერიის შემადგენლობა-ში შევიდა. „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვინა - წერდა გაზეთ „დროებაში“ ილია ჭავჭავაძე - ჩვენი მამები, ჩვენი სისხლხორცი, „ ჩვენთან ერთად მებრძოლი შავი ბედისა“, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენის უწინდევლის განათლებისა და სწავლის აკვანი ჩვენი საქართველო დღეს ჩვენ შემოგვიერთდა.“

ოსმალთა საუკუნოვანმა ბატონობამ ვერ გააქრო სამუსულმანო საქართველოს მოსახლეობაში ეროვნული მთლიანობის შეგნება. ყოველი ქართველი კაცის აღტაცებას იწვევს თურქ მოძალადეთა წინააღმდეგ ქობულეთელ პატრიოტთა შემართება 1918 წლის აპრილში - ქობულეთის რეფერენცუმზე. ზღვის პირას ფიჭვნარში რეფერენცუმი დაინიშნა. თურქი დარწმუნებული იყო გამარჯვება-ში და მას სურდა უსისხლოდ მიიერთებინა აჭარა. კენჭისყრაზე დადებული იყო თეთი და შავი კენჭები. შავი კენჭი საქართველოს ნიშნავდა, თეთრი თურქეთს. რეფერენცუმზე ხასან თხილაიშვილმა ასე მიმართა ქობულეთელებს: „მმებო ქართველებო-ნუთუ ვინმეს გონია რომ დღეს აქ რჯულის საკითხი ირჩევა. ამოდენა ასკერს სულაც არ აინტერესებს ჩვენ -- ხოჯას დავუჩხოქებო თუ მდვდლის წინაშე აღვაპყრობო ხელებს. ესენი მხოლოს იმისთვის მოსულან რომ აქ 40

წლის წინ დაკარგული დაიბრუნონ. ამ მინდოოზე, ამ ზღვის სანაპიროზე უნდა გადაწყვდეს და გაირკვეს საკითხი: გადავიქცევით სამუდამოდ თურქეთის კურ-მოჭრილ მონებად თუ ვიყოთ ჩვენს ძმეთან ჭირშიც და ლხინშიც, ვიბრძოლოთ ერთად თავისუფალი საქართველოსთვის. მტერმა ვერ უნდა შეგვაძულოს მმე-ბი! „ ამის შემდეგ ხ. თხილაიშვილმა აიღო შავი კენჭი და საქართველოს ერთიანობას დაუჭირა მხარი. რეფერენციულის ჩაშლაც, ხალხის გამოღვიძება, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის ბრძოლის აზვირობაც ჩვენი წინაპრების დამსახურებაა. ქართველობა უბრუნდება ჩვენს ისტორიულ სარწმუნოებას - ქრისტიანობას.

როცა მამულისათვის ბრძოლა იწყება, როცა სამშობლოა გადასარჩენი, იქ პირადული და სარწმუნოებრივი უგანა პლანზე იწევს. ქობულეთის რეფერენციული ნათელი მაგალითია სხვადასხვა რელიგიური მრწამსის ორი ქართველის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აზროვნებისა. სკენდერ ცივაძე კურანით, ხოლო ბენიამინ დლონტი სახარებით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კეთილდღეობისათვის. ეს მოხდა ქობულეთში. დიახ ჩვენ ამ მოდგმის ხალხი ვართ. კვლავაც ბევრჯერ შევძლებთ გამარჯვებას.

1878 წელს, რუსეთის იმპერიის ხელში ქობულეთის გადასვლის შემდეგ აქ აღმოცენებულ ახალ დასახლებას „სმეგალოვანა“ ეწოდა. ქობულეთის გამაჯანსაღებელმა კლიმატმა სულ რამდენიმე წელიწადში გაითქვა სახელი, ადგილმდებარეობისა და მისი ჰავის ექსპერტული შეფასებით-ცნობილი ექიმების პრემბრაჟენსკისა და პროფესორ შერბაკოვის დასკვნით ქობულეთის პავა საუკეთესოდ მოქმედებს გულ-სისხლარღვთა, ნერვულ სისტემასა და სახუნოქორგანოებზე. ის იქცა ელიტურ კურორტად. ზღვისპირა ზოლი რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II-ის განკარგულებით გადაეცათ მთავარსარდლებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს რუსულ-თურქული კამპანიის დროს. დაიწყო ზღვისპირას აგარაკების გაშენება.

მე-19 საუკუნის დასასრულს ქობულეთს მწვანე კონცხთან და ჩაქვთან ერთად მოიხსენიებენ ბათუმის „სააგარაკო ადგილად“.

მე-20 საუკუნის დასაწყისის ქობულეთის შესახებ წარმოდგენას იძლევა „გავგაზეს კი ვესტნიკში“ 1900 წელს გამოქვეყნებული სტატია- „**коублети (смекаловка) как курорт и дачное место**“.

სმეგალოვან თავისი სახელწოდება მიიღო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის სმეგალოვის საპატივცემულოდ, რომლის ინიციატივით 1880-1884 წლებში აქ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლდნენ კოლონისტები. მათ მიაკუთვნეს თითო დესეტინა საკარმიდამო ნაკვეთი და 10 დესეტინა სახნავ-სათესი.

1913 წელს ქობულეთს უკვე გააჩნდა ფოსტა-ტელეგრაფი, შემნახველი სალარო, აფთიაქი, ფიჭვნარში ზღვის პირას ვრცელ ბაღში აშენდა მართლმადიდებლური ეკლესია, სადაც ფუნქციონირებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლა. იქვე ახლოს ქვის კაპიტალურ შენობაში განლაგებული იყო 2 სამოქალაქო სასწავლებელი. ფუნქციონირებდა ბაზარი, კლუბი, ბიბლიოთეკა, სამკითხველო. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ზიანი მიაუქნა ქობულეთის საკურორტო მშენებლობას.

1923 წლიდან ქობულეთი- სახელმწიფო მნიშვნელობის კურორტად გამოცხადდა.

1930 წელს შეიქმნა ქობულეთის რაიონი. 1931 წლიდან იწყება სასტუმროების მშენებლობა. 1932 წელს დაარსდა ქობულეთის სასოფლო საბჭო, რომელიც 1939 წელს გარდაიქმნა ქობულეთის სადაბო საბჭოდ. 1944 წლის აჭარის ასერ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების საფუძველზე დაბა ქობულეთი გადაიქცა ქალაქად.

კიდევ ერთხელ მოგესალმებით და მოგილოცავთ აჭარის საქართველოს-თან დაბრუნების 140 წლის იუბილეს.

შეხვედრა საოჯახო ტიპის გამშვთა სახლის აღსაზრდელებითან

**„თუ ამ ლექსებს გულით წაიკითხავთ, მაშინ ეს თბილი გრძნობა თქვენთვის
მიჩურნია ჩემს ლექსებთან ერთად“**

2018 წლის 26 დეკემბერს საარქივო სამმართველო მასპინძლობდა ბათუმის საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს: გორგი გორგაძეს, ქახა გორგაძეს, ეფემია ბედინაძეს, სოფო ქათამაძეს, ალინა აკიმოვას, მაია ლორთქიფანიძეს და ყოფილ აღსაზრდელს, ამჟამად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს, დამწეულ პოეტსა და მხატვარს **ლუკა სარალიძეს**. მათმა სტუმრობამ ერთგვარად გაალამაზა არქივისტების ცხოვრება, სიხარული და სიხალისე შეიტანა არქივის ყოველდღიურ რუტინულ საქმიანობაში



ლუკა ზრდილობიანი ახალგაზრდა და წარმატებული სტუდენტია. სხვა აღსაზრდელებთან ერთად ცხოვრებამ მასაც დიდი ტკივილები დაატენა თავს. იგი საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში გაიზარდა. თავს დატეხილ უბედურებას ლუკა შემძეგი სიტყვებით გამოხატავს:

მე თვით შვილი ვარ, დედისაგან მიტოვებული
თითქოს მარტო ვარ, ჩემს ფიქრებში ვზივარ ეული,
დედის სითბოსგან მონატრებულს რა გამახარებს
ვაი იმ დედას ვინც დატოვებს შვილებს პატარებს.

არ გატყდა ლუკა, არ შეეგუა ტკივილსა თუ უბედურებებს. ცხოვრების უპლატარობამ ვერ შეძლო მისი გაბოროტება. პოეტის ყოველი სიტყვა და ქმედება სიკეთისა და ნამუსის არშინით იზომება. ეს კარგად ჩანს ლუკას ნაწერებში:

ამ ცხოვრებისგან ერთ რამეს ვითხოვ
ყველაფერი რომ აქ იყოს რიგზე
არც ბოროტება და არცა ბოლმა,

შერი და მტრობა არ გვხეოქდეს გულზე!

ლუკა ემადლიერება იმ ადამიანებს, რომლებმაც მისი და მისი მეგობრების ტაიგილი და გარამი გულთან ახლოს მიიტანეს. ახალბედა პოეტი განსაკუთრებულ სითბოთი და სიყვარულით სავსე გრძნობებით გამოხატავს მათდამი დამოკიდებულებას, რადგან წამს, რომ დედამიწაზე ყველაზე დიდი ცოდვა უმაღურობის გამოვლენაა:

როცა ვიდაცა შენთვის ირჯება,
და გიმარტივებს ამ ცხოვრების გზებს,
როცა ვიდაცა შენზე ზრუნვას და
ცხოვრების გზების გაკაფვას გიწყებს,
როცა ვიდაცას შენი ცხოვრების
გამარტივება და კარგი უნდა,
მას ხომ შენგანვე, ამ სიყვარულის
და ამ სიკეთის დანახვა უნდა!

წინასაახალწლო განწყობას ერთი-ორად ამაღლებს ლუკას საახალწლო დალოცვა:

ღმერთი იყოს ყველს შემწე, ორიათას ცხრამეტში,
კანფეტი არ მოგვკლებოდეს, ვახრამუნოთ კბილებში,
ასე ტკბილად გაგვითენდეს, ყოველი დღე ახალ წელს,
მამალიც კი გვაღვიძებდეს გვითენებდეს მრავალ დღეს!

ნუ ვიქნებით მკაცრი ლუკას შემოქმედების შეფასებაში. მისი ლექსები შესაძლოა საჭიროებდეს დახვეწას, მაგრამ პოეტის თითოეული სიტყვა გულწრფელობით, სისადავით, ადამიანური ტკივილის ლამაზ ფერებში გადმოცემის სურვილითა და მოყვასისადმი სიყვარულითაა ნასაზრდოები. ლუკა თავისი ლექსებითა და შემოქმედებით საკუთარ ასაკზე უფრო მოზრდილად გამოიყურება. ლუკა ჩამოყალიბებული პოეტია. მის პოეზიაში აშკარად იგრძნობა დიდი ქართველი პოეტის ნ. ბარათაშვილის გავლენა. იდეურადაც იგი დიდ წინაპარს ენათესავება.

ახალგაზრდა, პერსპექტიული სტუდენტი სხვა მხვრივაცაა გამორჩეული. იგი ყურადღებას იქცევს საოცარი თავმდაბლობითაც. თავად ლუკას დავესესხებით: „შესაძლოა ჩემი ლექსები გამოჩენილი პოეტების შემოქმედების შესაძრი არ იყოს, თუმცა ვფიქრობ, მკითხველს სასიამოვნო რომანტიულ განწყობაზე დააყენებს... იმედია ჩემი ლექსები ზუსტად იმ ემოციას აღიძრავთ სულსა და გულში, რაც მე ჩავაქსოვე მათი შექმნისას. თუ ამ ლექსებს გულით წაიკითხავთ, მაშინ ეს თბილი გრძნობა თქვენთვის მიჩუქნია ჩემს ლექსებთან ერთად“.



მადლობა ლუკა, ასეთი გულწრფელობისათვის, სისადავისათვის, სისუფ-
თავისათვის, თავმდაბლობისათვის. შენმა ლექსებმა ზუსტად გადმოსცა შენს
მშფოთარე გულში დაბუდებული გრძნობები, ააფორიაქა მკითხველის სული და
ნათლად გამოხატა ის სითბო, რომელიც ჩვენ გვისახსოვრე შენს მშვენიერ ლექ-
სებთან ერთად. გვინდა, რომ ეს სითბო მაღალი გემოვნებით გამორჩეულ მკით-
ხველსაც გავუნაწილოთ. ამიტომაც გამოგვაჭვს შენი ლექსები მკითხველის სამ-
სჯავროზე!

საარქივო სამმართველოს დაულოცნია შენი შემოქმედების პირველი ნაბი-
ჯები ჩემთ ლუკა! წარმატებებით გევლოს!

თამაზ გუბარაძე

მე თვით შვილი ვარ, დედისაგან მიტოვებული

მე ვარ ლუკა სარალიძე 18 წლის, დავიბადე 2000 წლის 21 აპრილს ქა-
ლაქ ბათუმში, წლინახევრის ასაკში დედას გარემოებებიდან გამომდინარე მო-
უწია ჩემი დატოვება მის მეზობელ ოჯახში, სადაც ოთხი წლის განმავლობა-
ში მზრდიდნენ და მივლიდნენ. ოთხი წლის შემდეგ ოჯახს ეკონომიკური კრი-
ზისის გამო მოუწია ჩემი ფერის წმინდა მატათას სახელობის გიმნაზია-პან-
სეონში ჩაბარება, სადაც რვა წელი ვიცხოვრე. თერთმეტი წლის ასაკში წამო-
ვედი ფერის ზემოთ აღნიშნული დაწესებულებიდან და სოციალური სააგენ-
ტოს ხელშეწყობით მოვხვდი მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლში, სადაც
ცხოვრება დავიწევ თავიდან. იქ იგრძნობოდა ოჯახური გარემო, სითბო და
სიყვარული. ამ დაწესებულებაში მხოლოდ 18 წლამდე მქონდა დარჩენის უფ-
ლება. 18 წლის რომ შევსრულდი, სოციალურმა სააგენტომ და საოჯახო ტიპის

ბავშვთა სახლის წარმომადგენლებმა იზრუნეს იმაზე, რომ მინდობით აღზრდაში გავეშვი ერთ ძალიან თბილ და საყვარელ ოჯახში, სადაც თავს ძალიან ბედნიერად ვგრძნობ. ასე შევძლი სახელმწიფო მურუნველობის ქვეშ დაგრჩენილიყავი. სკოლა რომ დავასრულე, უნივერსიტეტში ჩავირიცხე ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე. სწავლის ხარჯები სრულად დაფინანსდა სახელმწიფოს მიერ. ამჟამად ვარ ფსიქოლოგიის პირველგურსელი სტუდენტი.

იმედია ჩემი ლექსები ზუსტად იმ ემოციას აღგიძრავთ სულსა და გულში, რაც მე ჩავაქსოვვ მათი შექმნისას. თუ ამ ლექსებს გულით წაიკითხავთ, მაშინ ეს თბილი გრძნობა თქვენთვის მიჩუქნია ჩემ ლექსებთან ერთად.

ლუგა სარალიძე 2018 წლის 26 დეკემბერი

* * *

ამ ცხოვრებისგან ერთ რამეს ვითხოვ
შველაფერი რომ აქ იყოს რიგზე
არც ბოროტება და არცა ბოდმა,
შური და მტრობა არ გვხეოქდეს გულზე
ასე ფიქრობდა ბარათაშვილი
როცა ის წერდა თვის უკვდავ ლექსებს
ჭიდილი ბოროტს და კეთილს შორის
გამარჯვებისკენ უკვლევდა ძნელ გზებს
თუმცა მთავარი იციო რა არის?
ის, რომ ცხოვრების აზრი არ ვიციო,
მოვშორებივართ დვთის კანონ-წესებს
ვით დაკარგული დედისგან კვიცი!
ბოროტებაა ეშმაკი იგი
თუმცა ღმერთია სიკეთე დიდი,
რა გაიმარჯვებს ორთ ჭიდილს შორის
შენ გადაწყვიტე შენს გულში მიდი!
მე დავასრულე ამ ლექსის წერა
ძალზედ მწირია ჩემი ბწყარები
თუმც ბარათაშვილს თავის ლექსებში
რაც აქვს ისწავლე გემუდარები!

* * *

ბავშვობის წლები თანდათან გადის,
გული კი ისევ მევსება დარდით!
თითქოს მაკლია რაღაც მაღალი,
სევდას და ტკივილს გადმოვცემ კალმით.
გაქრა ის წლები, ბავშვობის დღენი!
თუმცა ამისთვის ვიშრომე ბევრი,
მაგრამ რატომდაც აღარ აქვს აზრი,
რაღგან მაკლია სიობო მე დედის!
როცა ამ სიტყვას წარმოვთქვამ პირით,
ჩემი თვალები თავისით ტირის,
შვილის თვალები ივსება ცრემლით
ნეტავ ეს ცრემლი დედასთან მიდის?
ნუთუ არსებობს ძალა ისეთი,
რომ მაწერინებს მე ასეთ ლექსებს,
ნუთუ არსებობს ვინმე ისეთი,
რომ ამ თვალებზე შემიშრობს ცრემლებს?!
მყავს უმარავი დამტირალი, თუკი მოგავდები,
მაგრამ ვიცირომ მარტობის წყვდიადში ვხვდები,
ერთი ათასს სჯობს, დედის ხელი ყველას ხელს უდრის
წახვედი დედა, ზუსტად ისე, როგორც მოხვედი.
მე თვით შვილი ვარ დედისაგან მიტოვებული,
თითქოს მარტო ვარ, ჩემს ფიქრებში ვზივარ ეული,
დედის სიობოსგან მონატრებულს რა გამახარებს,
ვაი იმ დედას ვინც დატოვებს შვილებს პატარებს!

* * *

როცა ვიღაცა შენთვის ირჯება,
და გიმარტივებს ამ ცხოვრების გზებს,
როცა ვიღაცა შენზე ზრუნვას და
ცხოვრების გზების გაკაფვას გიწყებს!
როცა ვიღაცას შენი ცხოვრების
გამარტივება და კარგი უნდა,
მას ხომ შენგანვე ამ სიყვარულის
და ამ სიკეთის დანახვა უნდა!
როცა ვიღაცა შენზე იზრუნებს,
როცა სიობოს და სიყვარულს მოგცემს,
თუ დაინახავ მის ამ სიკეთეს,
მისთვის ყოველდღამ იკითხავ ლოცვებს!
თუკი დმერთი მე შემეკითხება,
ვინდა აფასებს ჩემს არსებობას,
არ დავიბნევი და ვუპასუხებ
ის, ვინც ამქვეუნად მიწევს დედობას!
ეს კი შენა ხარ ჩემო გულო წმინდავ,

ჩემო ლამაზო კეთილო ნინა,
ძალზედ მიყვარსარ დედაო ჩემო,
მე მუდამ შენი დედობა მინდა.
დიდი ღვაწლი გაქვს ჩემს ცხოვრებში,
შენ გამიჩინე მომავლის ხედვა,
ღმერთს იმას შევთხოვ, რომ არ მომაკლდეს,
შენი კეთილი ნათელი მზერა!
ღმერთო მაღალო მადლობას გიხდი,
რომ გამაცანი ეს დედა, წმინდა!
გთხოვ დაიფარე დიდხანს აცოცხლე
ჩემი დედა და კეთილი ნინა!

**ორი მეტობრის ისტორია
ნაზისტი პირველი**

როსელ ქუჩაში მივდიოდი მარტო. სახლიდან გამოვიქეცი, რადგან გავიგე - წარსულში რთული ცხოვრება მქონდა და წარსულის იარებმა თავი ჩემს გულში მოიყარა. მარტო მოვდიოდი. ნერვები მქონდა მოშლილი. თანაც ძალიან დადარდიანგბული ვიყავი. ამ დროს საიდანდაც ხუთი ბიჭის სიცილი მომექსმა. ოურმე სახლიდან გამოქცევისას ფეხსაცმელი გამხევია. ბიჭები კი დამცინოდნენ და მეუბნებოდნენ: ”შენ უპატრონო, შენსავით მოშივდა ამ ფეხსაცმელებსაც. წადი დედაშენს უთხარი მასაც რძე აჭამოსო“. გაბრაზებულ გულზე ერთერთს მივგარდი და მუშტებს უურტყამდი, მაგრამ რადგან ისინი ხუთი იყვნენ, მომერივნენ და ფეხებით ჩამქოლეს. რაღაცნაირად წამოდგომა მოვახერხე და გაქცევა ვცადე, მაგრამ ერთერთმა დამინახა და გამომეკიდნენ. ხელში ჯოხი გჭირათ. მომიქნიეს. ერთი ავისხლიტე, მაგრამ მეორედ კუთხეში მიმიმწყვდიეს. ჯოხი უნდა დაერტყათ. შეშინებულმა თავი დაგხარე და ხელი სახეზე ავიფარე, თვალებიც მაგრად დავხუჭე, მაგრამ ჯოხის დარტყმა ვერ ვიგრძენი. ჩხუბის ხმა მომექსმა. თავი ავწიე და დავინახე, ვიღაც ბიჭი ჩემს დახმარებას ცდილობდა. ის ისე მაგრად ჩხუბობდა, თითქოს საბოლო ხევოვნების ოსტატი იყო. ხუთივე მოიგრია. ამ დროს თურმე ვიღაც ქალს დაუუნახივართ და პოლიციას გამოუქახა. ბიჭებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ მე და იმ უცნობმა არ გავუშვით ისინი, კუთხეში მივიმწყვდიეთ და უნდა დაგვერტყა, რომ პოლიციის სიგნალის ხმა გავიგეთ. მაშინ დავინახე იმ ბიჭების თვალებში შიში. მათ სახე კნეტისას მიუჰგავდათ. შეგვეცოდა მე და უცნობს და გავუშვით. მოვიდა პოლიცია, გამოგვკითხა. ვუთხარით, რომ თითქოს სახე დაფარული პქნდათ და ვერ გავარჩიეთ მათი ვინაობა. მათაც დაიჯერეს და წავიდნენ. როგორც კი პოლიცია წაგიდა, იმ უცნობმაც წასკლა დააპირა. დავუძახე, მივედი და მადლობა გადავუხადე. ერთმანეთს გავეცანით. ვკითხე რა გქვია მეთქი. გიორგი წერეთელიო - მიპასუხა. „ლუკა სარალიძე“ - ვუთხარი მე. უცებ დავინახე გიორგის თავიდან სისხლი სდიოდა. ჩხუბის დროს თავი გასტეხოდა. შემეშინდა, რადგან მიჩვეული არ ვიყავი თავგატეხილი ბიჭების დანახვას. ამიტომ მივვარდი და ვუთხარით თავი გატეხილი გაქს, აქვე ვცხოვრობ და წამოდი მეთქი. ის ჯერ უარზე იყო, მერე როგორც იქნა დავიყოლიე, მისი ოჯახის ტელეფონის ნომერი გავიგე და მისი თხოვნით დავრეკე. მან მთხოვა უბრალოდ ეთქვა მეგობართან ვრჩებიო. მეც ეგრე ვუთხარი, გიოს თავი გავუკერეთ და საძინებელში გავუშვით დასაძინებლად. გათენდა. მე და გიო სასაუზმოდ ჩამოვდიოდით, როცა მუცლის არეში ძლიერი ტკივილები ვიგრძენი. გონება დავკარგე. გამოუქახეს სასწავლოს და გადაუდებელი დახმარების მანქანით რეანიმაციაში მიკრეს თავი. ოურმე ჩხუბისას მუცელში ფეხი მომხვდა და ნაღველი გამსკდარა. გარდა ამისა, შიდა სისხლდენაც მქონდა. ექიმები უიმედო მდგობარეობაზე საუბრობდნენ. საჭირო იყო მეორე რეზუს უარყოფითი სისხლი. ეს საიდანდაც გიომ გაიგო. სწორედ მას აღმოაჩნდა სისხლის ის ჯგუფი, მაგრამ რადგან ის ბავშვი იყო, უფლება არ მისცეს სისხლი გადაესხა ჩემთვის. დრო გადიოდა.

ნელნელა სულ უფრო უარესდებოდა ჩემი მდგომარეობა. სისხლის დონორი ვერ მინახეს, რაღაც საავადმყოფოს არ გააჩნდა ჩემი სისხლის. ამასობაში გაჩნდა ახალი პრობლემა. სასწრაფოდ მესაჭიროებოდა დვიძლის გადანერგვის ოპერაცია. ერთ კვირაში უნდა გაკეთებულიყო ეს ოპერაცია, თორემ ცოცხალი ვეღარ გადავრჩებოდი. ექიმებს სხვა გზა აღარ დარჩათ და გიოს შემოთავაზებას დათანხმდნენ. გიომ ლიტრა ნახევარი სისხლი და დვიძლის ქვედა უჯრედი გაიღო. მან სიცოცხლე შემინარჩუნა. მე და მას ერთდროულად გაგვიჩერდა გული, მაგრამ ღმერთის წყალობით ორივეს გულის ცემა აღგვიდგა. ერთი კვირა უგონოდ ვიყავით მე და გიო. გონზე მოვედით. მე არ ვიცოდი სინამდვილეში გიომ რომ გადამარჩინა. ეს ყველაფერი მაშნ გავიგე, როცა რეანიმაციის კაბინეტიდან ორი პაციენტი ერთად გადავვავდით პალატებში. გიო მაშინვე ვიცანი და ძალაგამოლეულმა ტუხების ნელი მოძრაობით და სხმის დაბალი ტემპით დავუძახ. გამომხედა და გამიღიმა, თუმცა ვერაფერს მივხვდი. ექთანს ვკითხე, მას რა დაუმართა მეთქი. უცებ ექიმმა მითხრა, რომ გიომ ლიტრანახევარი სისხლი გაიღოდა დვიძლის ქვედა უჯრედი გადმომინერგა. 15 წლის ბიჭმა სრულიად უანგარად სიკვდილს გადამარჩინა, თანაც ორჯერ. როგორდაც მოვახერხე მეყვირა „რატომ“. გიომ გამიღიმა და დამამშვიდა. ექიმებმა მე და გიო ერთ პალატაში მოგვათავსეს. ერთმანეთს უფრო დავუჟებობრდით საავადმყოფოში. მან მისი ცხოვრება მომიყვა, მე კი ჩემი. ჩვენ ახლა სისხლისმიერი ძმები ვიყავით. შენს ძარღვებში ჩემი სისხლი ჩქებსო - მითხრა გიომ. ერთმანეთს ძმობა შევფიცეთ და ლინზიც და ჭირშიც ერთად ყოფნის პირობა დავდეთ. თანდათან ორივე მოვლონიერდით. დამოუკიდებლად სიარულიც შევძლით. პალატაში ექთნებს ბავშვურ მახებს ვუგებდით. გიოს მშობლები და ჩემები სულ გვნახულობდნენ. გიოს დედას ტკბილეულით ყოველდღიურად გვანებივრებდა. მალე სავადმყოფოდანაც გაგვწერეს. გიოს წყალობით თავიდან დავიბადე. მან მე მეორე სიცოცხლე მაჩუქა.

გავიდა 15 წელი. მე და გიო სრულწლოვნები გაეხდით, პასუხისმგებლობაც გაგვეზარდა. საერთო ბიზნესი დავიწყეთ. გვქონდა დიდი ოფისი, საიდანაც ვხელმძღვანელობდით სხვადასხვა ფილიალებს. სათვაო ოფისი ნიუ იორკში გვქონდა, ფილიალები კი სხვადასხვა ქვეყნებში. საქართველოში 23 ფილიალი გვქონდა. ჩვენს ოფისს „LIFETIME“ ერქვა. მთელს მსოფლიოში ცნობილი ვიყავით, როგორც „LIFETIME“ ის დირსეული დამფუძნებლები. უამრავ პარტნიორებთან გვქონდა მოლაპარაკება, უამრავ კონტრაქტებს და მეგობრულ ურთიერთობებს ვაყალიბებდით მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ჩვენი ოფისის წყალობით საქართველომ ეკონომიკური მდგომარეობით მეორე ადგილი დაიკავა. ჩვენი ბიზნესი საქართველოს სახელმწიფო საზოგადოების შექსებას ისახავდა მიზნად. მე და გიომ მიუსაფარი და გაჭირვებული ადამიანებისათვის ბინები ავაშენეთ, დიდი ფართი დაგუთმეთ სკოლა-პანსიერნის. საქართველოში გაჭირვებულთა რაოდენობა ჩვენი ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით 92%-ს შეადგენდა შევეცადედ 80% დაგვესაქმებინა. თბილისის ფილიალში 20000 გაჭირვებული დავასაქმეთ. ჩვენი ოფისი მიზნად ისახავდა ქვეყნის თითოეული მოქალაქის ბედნიერას. დავაარსეთ ფონდი, რომელშიც ყოველწლიურად 8 მილიარდ დოლარს ვრიცხავდით. 180000 ათასს - სიმსიგნით დაავადებულთათვის, 500000 ათასს სხვა მძიმე

